ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო ე. გიგილაშვილისა

# ქართული ჭადრაკის ზეიმი

ეს მართლაც დაუვიწყარი მატჩი იყო, — მძაფრი, ცეცხლოვანი, რაღაც განუმეორებელი ეშხით მოსილი. ყველა მოიხიბლა — დიდოსტატი მიროსლავ ფილიპი (თუმცა მისი გაკვირვება ჭადრაკით ძნელი რამ გახლავთ), საერთაშორისო არბიტრი ნინა გრუშკოვა-ბელსკა, რომელიც ნონას ადრინდელი მატჩების მთავარი მსაჯი იყო, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გენერალური მდივანი ქალბატონი ინესა ბაკერი, რომელსაც წილად ხვდა ორთაბრძოლის გახსნისა და დახურვის საპატიო მისია და, რაც მთავარია, მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები, ასეთი ინტერესით რომ ესწრებოდნენ ბიჭვინთისა და თბილისის პაექრობას.

ეს ქართული ჭადრაკის არნახული ზეიმის დღეები იყო. ამ დღეებში ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ნონა გაფრინდაშვილი უძლეველი მოჭადრაკეა. აბა, სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმას, ვინც მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას 1962 წლიდან ინარჩუნებს, თანაც როგორი ბრწყინვალებით! ნონამ უკვე 5 მატჩი მოიგო მსოფლიოს პირველობაზე, მისი მოგებები არავის უკვირდა, ათასში ერთხელ თუ უსიამოვნება გადახდებოდა. აი სწორედ ეს გახლდათ უდიდესი სიურპრიზი.

მსოფლიოს ჩემპიონის ხელოვნება ახლა არნახულად მაღალ დონეზეა. არ არსებობს საჭადრაკო პარტიის რაიმე სტადია, ჩვენი ჩემპიონი დიდებულად რომ არ ატარებდეს. დებიუტის ბრწყინვალე ცოდნა გნებავთ? — ინებეთ. შუა თამაშში მანევრების ოსტატობა ხომ საყოველთაოდ აღიარებულია, ენდშპილში თამაშის ხელოვნება — საოცრად ნატიფი და დახვეწილი. და მაინც, ნონას მთავარ ღირსებად იერიშის შეუდარებლად ჩატარების ოსტატობა მიგვაჩნია.

აიღეთ მის მიერ გათამაშებული რომელიმე პარტია და ავტორის მიუთითებლად აჩვენეთ გულშემატკივარს: უდავოდ ნონა გაფრინდაშვილს დაასახელებს, მის ხელწერას სხვაში არ აურევს.

იმ უდიდესი დამსახურებისათვის, რომელიც ნონას საჭადრაკო სამყაროს მიმართ აქვს, მან განსაკუთრებული წოდებაც მიიღო — ქალთა შორის დიდოსტატის წოდება. ამავე დროს, ეტყობა, კარგა ხანი გავა სანამ ნონას მეორე დიდოსტატი ამოუდგება გვერდში. რატომ? იმიტომ, რომ ამისათვის მეტად ძნელი გზაა გასავლელი; დიდძალი დაბრკოლებაა დასაძლევი. თვით განსაჯეთ, დიდოსტატის წოდების მისაღებად საჭიროა: ან მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება (როგორი სათქმელია, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილია!), ან ორჯერ ზედიზედ მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩის მიღწევა, ან 6 წლის მანძილზე 3-ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოპოვება. ერთი სიტყვით, ჩვენ ასეთ დასკვნამდე მივდივართ: მეორე დიდოსტატი რომ გახდე, ნამდვილად მეორე ნონა გაფრინდაშვილი უნდა იყო!

**ახლა, როდესაც ნონას 1978 წლამდე შეუძლია მშვიდად იყოს, ამას როდი ვიტყვით მასთან შეხვედრის მსურველებზე!** საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას მატჩი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როდესაც უკვე დაიწყო მომავალი მეტოქის შერჩევა. დღეისათვის პრეტენდენტობის პრეტენდენტთა რიცხვი დაახლოებით სამ ათეულს შეადგენს, 1977 წლისათვის კი სულ 8 ოსტატი-ღა დარჩება. ორი მათგანი ახლავე ცნობილია: ნანა ალექსანდრია და ირინე ლევიტინა. შეიძლება ზოგიერთს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ახლა ნანა ალექსანდრია უფრო ძლიერია, ვიდრე, ვთქვათ, მსოფლიო პირველობის მატჩამდე იყო. მან შეიძინა ფასდაუდებელი რამ — გამოცდილება. ისეთი რამ განიცადა, რომელსაც სხვაგან ვერსად ნახავს და განიცდის. ამიტომ, ვფიქრობთ, მაინცდამაინც გასაოცარი არ იქნება, თუ „ფენიქსებრ განახლებული" ნანა ალექსანდრია 1978 წელს ისევე წარსდგება მსოფლიოს ჩემპიონის წინაშე. ეს შესაძლებლობა თვით ნონა გაფრინდაშვილს სავსებით რეალურად მიაჩნია.

ერთი სიტყვით გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას მატჩი განსაკუთრებული მოვლენა იყო საჭადრაკო სამყაროსათვის. იგი უკვე ისტორიად იქცა, მაგრამ ისეთ ისტორიად, რომელიც დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

გ. ბამრეკელი

## 1975 — ქალის საერთაშორისო წელი

„რომ შეიძლებოდეს სასწორის ერთ ჯამზე მოვათავსოთ ჩვენი ჯარისკაცების საბრძოლო გმირობა, მეორეზე — შრომითი გმირობა საბჭოთა ქალებისა, ჯამები ერთ დონეზე იდგებოდნენ, ისევე, როგორც ომის ქარცეცხლში იდგნენ შეურყევლად გმირი საბჭოთა ქალები თავიანთი ქმრებისა და შვილების გვერდით“.

ლ. ი. ბრეჟნევი

მინსკში საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს მიესალმება ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. მ ა შ ე რ ო ვ ი.




# ქალთა საერთაშორისო შეხვედრა მინსკში

მიმდინარე წლის 26-28 აგვისტოს ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო შეხვედრა თემაზე: „მსოფლიოს ქალები ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქვეყნად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დასამყარებლად“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ 27 ქვეყნისა და 6 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

შეხვედრა მოეწყო საბჭოთა ქალების კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ ინიციატივით და მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო წელს. შეხვედრამ საშუალება მისცა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა თუ სოციალ-ეკონომიური სისტემების წარმომადგენლებს საერთო მსჯელობის საგნად გაეხადათ საკითხების ფართო რკალი — ყველაფერი რაც ეხება ქალთა ბრძოლას ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, ქვეყნად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას.

გამომსვლელები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვება მოპოვებული იქნა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა, პირველ რიგში საბჭოთა ხალხის გმირული წინააღმდეგობის შედეგად, ხალხისა, რომელმაც გამანადგურებელი დარტყმა აგემა ფაშიზმს და გადაუჭრა მას გზა მსოფლიო ბატონობისაკენ. და რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში საგრძნობი წვლილი შეჰქონდათ ქალებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში, გმირულად იბრძოდნენ ფრონტებზე, თავდაუზოგავად შრომობდნენ ზურგში, მსხვერპლად ეწირებოდნენ სამშობლოს თავისუფლებას.

შეხვედრის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ფაშიზმზე გამარჯვებამ მიანიჭა ევროპისა და სხვა კონტინენტების ხალხებს მშვიდობიანი ცხოვრებისა და თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობანი.

შეკრებილებმა გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება დიდად დაეხმარება ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, რომ ეს გადაწყვეტილებანი იქცევიან საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის საიმედო სა-

ფუძვლად და მსოფლიოს სხვა რეგიონებისათვის შთამაგონებელ მაგალითად.

ამავე დროს აღინიშნა, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ მსოფლიოს არენაზე მიმდინარე პროგრესული პროცესების დამუხრუჭებას ან მათს უკუღმა შემობრუნებას, და რომ დედამიწაზე ჯერ კიდევ არსებობს საყოველთაო მშვიდობისა და სუვერენიტეტისათვის საშიშროების სერიოზული კერები. ღრმა შეშფოთებით ლაპარაკობდნენ ქალები ახლო აღმოსავლეთსა და კვიპროსზე არსებული მდგომარეობის შესახებ და დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რათა განუხრელად ტარდებოდეს ცხოვრებაში მშვიდობის საბჭოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი.

ორატორები ერთსულოვნად მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელია მეტი აქტივობით ვიღწვოდეთ დაძაბულობის შემდგომი განმუხტვისათვის, ადამიანთა მასობრივი განადგურების — ატომური და სხვადასხვა სახის იარაღების აკრძალვისათვის, განიარაღებისათვის და მოითხოვდნენ სამხედრო ბიუჯეტების შემცირებას და განთავისუფლებული სახსრების გამოყენებას სოციალ-ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტის მიზნებისათვის. ორატორები გამოთქვამდნენ სურვილს, რათა უახლოეს ხანში გაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია განიარაღების საკითხებზე და ღრმა რწმენას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ შეანელებს ბრძოლას ფაშიზმის წინაამდეგ, ქვეყნად მშვიდობის განსამტკიცებლად.

შეკრებილებმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების გამო უცხოელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მოუწოდებდნენ, რათა კვლავაც განმტკიცდეს სოლიდარობა ინდოჩინეთის ხალხებთან.

გამომსვლელები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ქალის საერთაშორისო წელმა დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებისა და საზოგადოებრიობის ღონისძიებათა გაერთიანებაში, მათი საერთო მიზნის — თანასწორობის, განვითარების, მშვიდობისათვის ბრძოლაში და იწონებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ქ. მეხიკოში ჩატარებული კონფერენციის შედეგებს (მ. წ. 19. VI-2. VII).

ქალები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რა დიდი იმედებით ეგებებიან ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ კონგრესს, რადგან სწამთ, რომ კონგრესი დიდ წვლილს შეიტანს ქალის წლის მთავარი მიზნების მიღწევაში.

დასასრულ მიღებული იქნა რეზოლუციები. ერთ მათგანში მინსკის შეკრების მონაწილენი ღრმა აღშფოთებას გამოთქვამენ იმ საზიზღარ დანაშაულობათა გამო, რასაც სჩადის ფაშიზმის სამხედრო ხუნტა ჩილეს ხალხის წინააღმდეგ, მისი ჭეშმარიტი პატრიოტებისა და დემოკრატების წინააღმდეგ — იმ მწარე ხვედრის გამო, რომელიც ერგუნათ ჩილეს პოლიტიკურ პატიმრებს, მათ შორის მოხუცებს და ბავშვებსაც; იმ დევნა-წამების გამო, რომლის ყოველდღიური მსხვერპლია ათობით ქალი, მამაკაცი და ახალგაზრდა; იმ სასტიკი ცინიზმის გამო, რომლითაც ითელება ჩილეს ქალთა ადამიანური უფლებები, მათი ქალური ღირსება და მოწოდებით მიმართეს მსოფლიოს ყველა ქალს, ყველა დემოკრატს, სასტიკად დაგმონ ჩილეს სამხედრო ხუნტის თარეში, მოითხოვონ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღოს სათანადო ზომები ამ მიმართულებით, მოითხოვონ, ჩატარდეს ეფექტური კამპანიები ადამიანის [illegible] უფლებათა აღსადგენად და რომ საჭიროა ჩვენ, ქალები მეტი დაჟინებით მოვითხოვდეთ ჩილეს კომპარტიის მდივნის ლუის კორვალანის და სოციალისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელთა — ყველა პოლიტპატიმრის — როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო პირთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

გარდა ამისა, მიღებული იქნა რეზოლუცია პორტუგალიის დემოკრატიულ ძალთათვის მხარდაჭერის თაობაზე.



**მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე,**

**საფრანგეთის ქალთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, ქსდფ ვიცეპრეზიდენტი, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე:**

„...ნაცისტურ ბანაკებში მე ვიმყოფებოდი პატრიოტული საქმიანობისათვის დაპატიმრებული და გადასახლებული, ყველა ოკუპირებული ქვეყნის: საბჭოთა, ჩეხი, პოლონელი, იუგოსლაველი, ბელგიელი, ავსტრიელი, ფრანგი და აგრეთვე გერმანელი ანტიფაშისტი ქალების გვერდით.

ჩვენ გვაკავშირებდა მტკიცე მეგობრობა. იმ სოლიდარობის გარეშე, რომელიც ჩვენ შევძელით დაგვემყარებინა, ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ შესძლებდა სიცოცხლის შენარჩუნებას. ეს კავშირი დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია. ყველა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ადამიანთა განადგურების საშიშროების წინააღმდეგ, ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის, პროგრესისა და განიარაღებისათვის“.



**გლადის მარინი,**

**ჩილეს კომპარტიის ცკ-ის პოლიტკომისიის წევრი, კომუნისტური ახალგაზრდობის გენერალური მდივანი:**

„...ფაშისტურმა გენერლებმა მუხანათურად ჩასცეს ლახვარი ჩვენი სამშობლოს გულს, მაგრამ მათ ვერ შესძლეს გაენადგურებინათ ჩვენი ორგანიზებულობა, პოლიტიკური მრწამსი, საბრძოლო შემართება. სალვადორე ალიენდესა და პაბლო ნერუდას სამშობლო ვერ დააჩოქეს. იგი განაგრძობს ბრძოლას ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ.

...ჩვენ გვჯერა ჩვენი გამარჯვებისა, ხალხთა გამარჯვებისა. ფაშისტური ზამთარი უკუიქცევა, გაზაფხული კვლავ დაბრუნდება ჩილეში“.

## 1975 — ქალის საერთაშორისო წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარი ალმა-ატაში, მორიგ სხდომას ხელმძღვანელობს ქ ს ე ნ ი ა პ რ ო კ უ რ ნ ი კ ო ვ ა (სსრკ ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე).



# აზიის ქვეყნების ქალთა შეხვედრა

წელს, ივლისში, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ალმა-ათაში ჩატარდა აზიის ქვეყნების ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა სემინარი თემაზე: „ქალთა მონაწილეობა თავიანთი ქვეყნების ეკონომიურ განვითარებასა და მომავალი თაობის აღზრდაში". ეს ფორუმი მოწვეული იყო ქსდფ-ს ერთ-ერთი ეროვნული ორგანიზაციის — საბჭოთა ქალების კომიტეტის მიერ, ქალის წელიწადთან დაკავშირებით. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ 26 ქვეყნის 40 ქალთა ორგანიზაციის, 5 საერთაშორისო ორგანიზაციის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, იუნესკოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიურ და სოციალურ კომისიათა წარმომადგენლები.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით სემინარი გახსნა ს. ნ. იმაშევმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა. ინდოეთში ქალის საერთაშორისო წლის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა წაიკითხა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის მისალმება საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებისადმი. სემინარის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ქსდფ გენერალური მდივანი ფანი ედელმანი.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწე ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხებში ჰელვი სიპილა და ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელი საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი ფრიდა ბრაუნი.

სემინარის მუშაობა ორ კომისიაში მიმდინარეობდა. პირველს — „ქალთა მონაწილეობა თავიანთი ქვეყნების ეკონომიურ განვითარებაში" — ხელმძღვანელობდა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. პ. სერგეევა, ხოლო მეორეს — „ქალთა მონაწილეობა მომავალი თაობის აღზრდაში" — თავმჯდომარეობდა სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. ნ. კოლმაკოვა. ორივე კომისიამ შეიმუშავა შემაჯამებელი დოკუმენტები.

პლენარულ სხდომაზე ერთსულოვნად იქნა მიღებული კომუნიკე. მასში აღნიშნულია, თუ რა დიდი წვლილი შეაქვთ ქალებს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ბრძოლაში იმისათვის, რომ ყოველი ქვეყნის ხალხს ჰქონდეს იმის უფლება, თვითონ გადასწყვიტოს თავისი ბედი. კომუნიკეში ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ ქალთა ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობა და ბავშვთა აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა ღრმა სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელებას მოითხოვს.

სემინარის მონაწილეთა გამოსვლებმა, როგორც პლენარულ სხდომაზე, ისე კომისიებში, ცხადჰყვეს, რომ აზიის ქალთა როლი და პასუხისმგებლობა თანამედროვეობის არსებითი პრობლემების გადაწყვეტისას სულ უფრო იზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ფრიდა ბრაუნი,**

ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის პრეზიდენტი:

,, ახლა, როცა ქალის საერთაშორისო წელმა მეორე ნახევარში გადააბიჯა, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებიანი წელიწადი, რაც კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩაუტარებია''.



**ევა რანავირა,**

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის წევრი შრი ლანკადან:

,,ჩვენ სულ ადრეული ასაკიდან უნდა ჩავუნერგოთ ბავშვს ის მაღალი იდეალები, რომლებიც გვინდა, მას მომავალში ჰქონდეს, და მაშინ იგი გახდება ჭეშმარიტი მებრძოლი სამართლიანობისათვის, თანასწორობისათვის, თავისუფლებისათვის.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ თვითონ დედაც — შვილის აღმზრდელი, კაპიტალისტურ სამყაროში ცხოვრობს. ამიტომ აუცილებელია მასთან მუშაობა, მისი ახლებურად აღზრდა.''



**ლეილა ბუჯალაბი,**

პალესტინის ქალთა საყოველთაო კავშირის თავმჯდომარე:

,,ვკითხოთ ჩვენს საკუთარ თავს: რისთვის მუშაობს ქალი, რისთვის მუშაობს მამაკაცი, რისთვის მუშაობს, საერთოდ, ადამიანი და პირველი პასუხი ასეთი იქნება — იმისათვის, რომ იარსებოს. მეორე პასუხი — იმისათვის, რომ ააშენოს საზოგადოება, რომელშიც ყველა ბედნიერი იქნება და მათ შორის პალესტინელი ქალიც, რომელიც იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის, ისეთი საზოგადოების აშენებისათვის, სადაც მისი ხალხი ბედნიერი იქნება...''

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტულა იანაკოპულო

## ელადის ახალგაზრდობა

ახალგაზრდობავ, სულით უდრეკით
უსამართლობას ბევრჯერ ამსხვრევდი,
ფაშიზმს თუ წინ არ გადაუდექი,
ვერ დააკავებს ქვეყნის საზღვრები.

ქუჩები მოსრეს მძიმე ტანკებმა,
და სასახლეთა კოხტა სვეტები.
არ დაანებო ხალხთა აკლება,
ფაშიზმს ებრძოლე თავგამეტებით.

უსამართლობა ვერ დაგაღონებს,
მტრისთვის იქეცი მეხად, ტყვიებად,
ვინც ჩვენს ელადას აცლის ძალ-ღონეს,
იმაზე გინდა შურისძიება!

ტანჯვა-წამების განუზომელის
შენ მოშორება ბევრჯერ შესძელი.
ახლაც მივყვებით იმ გზას, რომელიც
გვაქვს მამა-პაპის ნაანდერძევი.

თარგმნა მინდია არაგულმა

## ბულბული და ვარდი

ვარდო, მე შენმა სურნელმა ტკბილი
სიამით ამავსო,
მაგრამ ვერ გადაგეხვევი, — ეკლიანი ხარ,
ლამაზო.
ჩამოიცილე ეკლები, ღიმილით შეხვდი
ალიონს,
რათა მოვიდე შენთან და სული შენს
გვერდით დავლიო.
მაგრამ შენს გვერდით რა მომკლავს,
სიმღერით შეგეხიზნები, —
ოღონდ ეკლები დამალე — ეგ შხამიანი
ისრები.
თუ გამაბრაზებ, წამოვალ, სამართალს
თვითონ გავაჩენ —
და გავასწორებ მიწასთან მაგ შენს ეკლიან
დარაჯებს.
ერთი ალალი ჩიტი ვარ, ვერავინ
დამემუქრება,
ორი რამ მიყვარს ამქვეყნად — ვარდი და
თავისუფლება.

თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ

## საქართველოს კპ ცკ-ის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში

„როცა ჩვენს მიწის რესურსებზე ვლაპარაკობთ, მინდა გაგახსენოთ საგარეჯოელთა, სიღნაღელთა და გურჯაანელთა შესანიშნავი თაოსნობა, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს ნასვენი და მიგდებული მიწების გამოყენებისათვის“.

(ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე)

# გურჯაანელთა თაოსნობა

წლევანდელი წლის შემოდგომაზე საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ მეტად მნიშვნელოვანი და ჰუმანური ამოცანა დაგვისახა — გავხადოთ ჩვენი რესპუბლიკა მაღალგანვითარებულ მეცხოველეობის მხარედ, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ხორცით, რძით, კვერცხით.

აი, როგორ ესმით დღეს სოფლის მშრომელებს და განსაკუთრებით მეცხოველეებს თავიანთი მოვალეობა:

„მეცხოველეობის აღმავლობის პრობლემა ხალხის სასურსათო მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის ცენტრალური პრობლემა ხდება. აქედან დასკვნა, რომ ეს სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაა, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანასთან“.

დაახლოებით ერთი წლით ადრე, ვიდრე საქართველოს კპ ცკ XVIII პლენუმი ჩატარდებოდა, მევენახეობით სახელგანთქმულ გურჯაანის რაიონში გადაიდგა პირველი ნაბიჯები იმისათვის, რომ საფუძველი ჩაყროდა მაღალგანვითარებულ მეცხოველეობას. რაიონის ხელმძღვანელებმა იფიქრეს, რატომ არ შეიძლებოდა დაეკმაყოფილებინათ მშრომელთა მოთხოვნილება ერთ-ერთი აუცილებელი საკვები პროდუქტით — ხორცით, და ნაკლები დანახარჯებით, იაფად შეექმნათ მაღალპროდუქტიული პირუტყვის სასუქებელი პუნქტი? საამისოდ გამოძებნეს მიგდებული, ნასვენი მიწა, რომელიც სავენახედ არ გამოდგებოდა. ეს გახლდათ ალაზნისპირას მდებარე ფართობები, სოფელ ჩუმლაყის ბოლოს გადაჭიმული და სატყეო მეურნეობის კუთვნილი.

რა თქმა უნდა, დაიხმარეს მეცნიერები, სინოპტიკოსები და მათი დასტურის შემდეგ საქმე იმით დაიწყეს, რომ ამ უხნავ მიწაზე ტრაქტორები აგუგუნდნენ, „ლელიანის“ სახელწოდებით ცნობილ ტერიტორიაზე ძეძვნარი და შამბნარი ამოძირკვეს, 1.000 ჰექტარზე პირუტყვის საკვები კულტურები დათესეს.

ამის შემდეგ პირუტყვის სადგომის მშენებლობას შეუდგნენ. რაიონის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ამ ახალ წამოწყებას ენთუზიაზმით მოეკიდნენ. ერთ კილომეტრსა და ორას მეტრზე ერთ თვესა და ათ დღეში ღია ფარდულის ტიპის სადგომები ორრიგად გადაჭიმეს. მასალად იხმარეს ბეტონის გამოწუნებული პანელები და მისგან კედელი აღმართეს, სადგომს შიფერი გადახურეს, შიფერსა და კედელს შუა მავთულები გააბეს, ეს მავთულები დაწნეხილი ნამჯის შეკრულებით ამოავსეს, რომ სიცივეში პირუტყვი გამჭოლი ქარისაგან დაეცვათ. სადგომის წინ მთელ სიგრძეზე რკინაბეტონის გამოწუნებული ღარები მოათავსეს, რაც ბაგის მაგივრობას უწევს საქონელს, არტეზიული ჭიდან პირუტყვს სუფთა სასმელი წყალი გამოუყვანეს.

მოეწყო სასუქებელი პუნქტი 5.000 სული პირუტყვისათვის. ერთ სულ პირუტყვზე დაიხარჯა 24 მანეთი, ეს მაშინ, როცა დიდი კომპლექსების მშენებლობისას ერთი სული პირუტყვის სადგომი 600-800 მანეთი ჯდება.

რა დიდი სხვაობაა, რა დიდი ეკონომიაა ღია ტიპის ფარდულის გამოყენებით!

ფარდულის მშენებლობისთანავე გურჯაანელებმა სასილოსე ორმოები მოაწყვეს. ორ ორმოს შემდგომ წელს კიდევ ორი მიუმატეს. 4 ორმო 300 ტონა სილოსის ტევადო-



ბით პირუტყვის საკვების ერთ-ერთი რეზერვია.

სადგომებთან რომ უფრო ახლოს ჰქონოდათ სილოსი, წელს გურჯაანელებმა მიწისზედა სასილოსე ორმოები დაამზადეს. ამჟამად ექსპლოატაციაშია 5 ორმო, თითოეული 2 ათასი ტონა სილოსის ტევადობით. დანარჩენი 5 ორმო მშენებლობის პროცესშია.

ლელის სასუქებელი პუნქტის პირუტყვისათვის საკვები საჭიროზე მეტია. 1 000 ჰექტარი ფართობიდან 800 ჰექტარზე სიმინდს თესენ და ორ მოსავალს იღებენ, დანარჩენი 200 ჰექტარი მწვანე საკვებს უჭირავს. 4 ათას ორას ჰექტარზე პირუტყვის საძოვრებია. დიდ დახმარებას უწევს სასუქებელ პუნქტს დღე-ღამეში 60 ტონა სიმძლავრის საკოლმეურნეობათაშორისო კომბინირებული საკვების საწარმო, რომელიც გურჯაანის რაიონში უმოკლეს დ[illegible] მედდა.

ასე რომ, პირუტყვის სუქებას წინ არაფერი უდგას.

ლელის სასუქებელ პუნქტში დღეისათვის 4 ათასამდე პირუტყვია — წუნდებული ძროხები და მოზვრები. შევსება კოლმეურნეობებიდან და მოსახლეობიდან მოდის. პუნქტს მოზარდეულით ამარაგებს არაშენდის (კოდალოს) სარძევე კომპლექსის სახბორე განყოფილება. მოზარდეული პირველად მოსამზადებელ ჯგუფში ხვდება, სადაც პირუტყვს 200-220 კილოგრამამდე ასუქებენ.

მერე იწყება პირუტყვის ინტენსიური სუქება, რაც 100 დღეს გრძელდება. ზაფხულობით ალაზნისპირა მიდამოებიდან საქონლის დიდი ნაწილი მთაში, „ჭერმის“ მიდამოებში იგზავნება გასასუქებლად, სადაც შესანიშნავი ბუნებრივი საძოვრებია. საქონლის ნაწილი ალაზნისპირას რჩება. ინტენსიური სუქებისას საქონელი დღეში იღებს 4 კილოგრამამდე კონცენტრირებულ საკვებს, 20-25 კილოგრამამდე უხეშ და წვნიან საკვებს — სილოსს, სენაჟს, თივას. 300 კილოგრამამდე რომ მიაღწევს პირუტყვი, მას სახელმწიფოს აბარებენ.

კილოგრამი ხორცის წარმოება პუნქტს ერთი მანეთი და 15 კაპიკი უჯდება, თვითონ კი კილოგრამ ხორცს 1 მანეთად და 80 კაპიკად ყიდის (საშუალოდ — 1 მანეთად და 60 კაპიკად).

ეს დიდი მოგებაა და ამგვარ მოგებას ნახულობენ გურჯაანელები სუქების ახალი მეთოდის გამოყენებით.

ამ მეთოდის კიდევ ერთი სიკეთე ისაა, რომ პირუტყვის მოვლა-პატრონობა თითქმის ადამიანების გარეშე ხდება. მექანიზაცია, რაც დღესდღეობით აქვთ, იმის საშუალებას იძლევა, რომ 4 ათასი პირუტყვის მომსახურეთა შტატში იყოს პუნქტის გამგე, 2 ზოოტექნიკოსი, 2 ვეტექიმი, 2 ბრიგადირი, ოციოდე მწყემსი, 15 მექანიზატორი.

მომავალში, როცა სრული მექანიზაცია გატარდება, პუნქტს საშუალება ექნება ერთდროულად 10.000 სული პირუტყვი გაასუქოს და ყოველ 500 სულს მხოლოდ 2 მწყემსი უვლიდეს.

თბილისისა და რუსთავის მშრომელები, რომლებსაც ეგზავნებათ ლელის სასუქებელი პუნქტის პროდუქცია — მაღალხარისხოვანი საქონლის ხორცი, თავის მხრივ შრომითი აქტივობით პასუხობენ სოფლის მუშაკთა ამ დიდ ენთუზიაზმს.

გურჯაანელთა გამოცდილება მხოლოდ მათ კუთვნილებად არ უნდა დარჩეს. იგი საქართველოს ყველა რაიონს შეუძლია გაიზიაროს, დანერგოს. პირუტყვის სუქებისათვის ნასვენი, ყამირი მიწების გამოყენება არის ერთ-ერთი გზა, რომლითაც შეიძლება განხორციელდეს პლენუმის ისტორიული დადგენილება — გადაიქცეს საქართველო მაღალგანვითარებულ მეცხოველეობის რესპუბლიკად.

კ. ლიაძე

## სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

# ფეიქართა ქალაქის ვარსკვლავები

როცა განთიადი — ეს უჩინარი მხატვარი მხოლოდ კონტურებს მოხაზავს ამ უზარმაზარ ტილოზე — დედამიწაზე;

როცა ლიახვისპირა ჭადრების ჩურჩული ჯერ კიდევ არ დაუფარავს ახალგაღვიძებული ქალაქის ხმაურს;

როცა აისის საგალობლის სათქმელად ხმას მოსინჯავენ ჩიტუნები...

ფრთხილად გამოვა თავისი მყუდრო ბინიდან ქუქუნა ქურდაძე და ნელი ნაბიჯით გაუყვება ნაჩვევ გზას გორის ბამბეულის კომბინატისაკენ.

ფეიქართა ქალაქში, შეიძლება ითქვას, ყველა გზა ამ კომბინატისაკენ მიდის.

ქუქუნას თავისი გზა აქვს და ამ გზაზე ყოველთვის ამაყი და გულსავსე მიაბიჯებს.

განსაკუთრებით უყვარს, როცა წვიმა წვრილად ცრის და სიო არ იძვრის.

დაზგები ხმაშეწყობილად იმღერებენ იმ დღეს.

ასეთი ზნე სჭირთ მათ. ამ უსულო საგნებსაც სულს უდგამს ცის ნამი (ტენიანი გარემო ხელს უწყობს ქსოვის ხარისხს).

ქუქუნას გზადაგზა ჯერ მარია ისაევა წამოეწევა, მერე თამარ გოგოლაძე, სიმა სემაკინა და ოლია მეყანწიშვილიც შემოუერთდებიან და კომუნისტური შრომის ბრიგადა სიცოცხლეს შეიტანს საამქროში.

მაგრამ როგორ ადრეც არ უნდა დაუდგნენ დაზგებს გვერდით, როგორც არ უნდა იჩქარონ, საამქროში მაინც ვერ მიასწრებენ ბრიგადირს. ალექსანდრე ბულგაკოვი მუდამ პოსტზეა, მუდამ წესრიგშია მთელი უბანი და ყოველთვის მზად არის პირველი საჭიროებისთანავე მიეშველოს დაზგას და ფეიქარს.

ასეთ ერთსულოვნებას ბევრგან ვერ დაიკვეხნიან. ვერც ასეთი წარმატებებით მოიწონებენ თავს ბევრგან.

ბრიგადამ ყოველთვიურად 56-58 ათასი მეტრი ქსოვილი უნდა გამოუშვას. ეს გეგმით. ფაქტიურად კი 68-70 ათას მეტრზე ნაკლები არც ერთ თვეში არ მოუქსოვიათ. ამიტომ იყო, რომ ბრიგადამ ხუთწლედის დავალება ჯერ კიდევ შარშან, აპრილში გაანაღდა და გეგმის ზევით 1.300.000 მეტრის მოქსოვა კიდევ იკისრა.

ამ ვალდებულების წარმატებით შესრულება ბრიგადის თითოეული წევრისაგან დიდ ენერგიასა და დაძაბულ შრომას მოითხოვდა. განსაკუთრებული სიმარჯვე მართებდათ 30-30-დაზგოსან მქსოველებს ქუქუნა ქურდაძესა და მარია ისაევას. ქუქუნა ხალგაზრდაა. ორი ბიჭის დედა და მშვენიერი ოჯახის დიასახლისი მარტო № 2 საქსოვი ფაბრიკის კი არა, მთელი ბამბეულის კომბინატის თვალია. მარიამ თვითონვე აღიარა, ქუქუნას დაწევა გამიჭირდებაო, მაგრამ გამოცდილი ფეიქარი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს. არც ბულგაკოვის ბრიგადის სხვა წევრები — ამომრღვეველი თამარ გოგოლაძე, მასრის ჩამწყობები სიმა სემაკინა და ოლია მეყანწიშვილი ჩამორჩებიან თანამოსაქმეებს.

ასე, რომ ბრიგადაში განუწყვეტლად და შეწყობილად გუგუნებენ დაზგები. ვინმე გახდება ავად? რა უშავს, მის საქმეს ბრიგადის დანარჩენი წევრები კისრულობენ, ისინი მშვენივრად არიან დაუფლებული ერთმანეთის პროფესიას. ბრიგადირი კი...

— შარშან ფეხი ეტკინა საშას, — გვიამბო ქუქუნამ. — ერთ დღეზე მეტი ვერ მოიცადა შინ. მეორე დღესვე საამქროში რო? ვნახეთ, შემოვეხვიეთ, მოვიკითხეთ. იცით რა გვიპასუხა? — დაზგები სრულ წესრიგშია, ესე იგი, მეც კარგადა ვარო.

ახლა კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა გოგი დალაქიშვილმა გაიხსენა:

— შარშან ბულგაკოვი ჩვენმა პროფსაბჭომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უფასო საგზურით დააჯილდოვა. უარი თქვა, დიდი ვალდებულება მაქვს აღებული და თავს ვერ შევირცხვენ, ტურისტობას სხვა დროსაც მოვახერხებო.

ასეთია ბრიგადირის პირადი მაგალითი.

დაიწყო მზადება ჩვენი ქვეყნის კომუნისტების დიდი ფორუმის — სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად. ამასთან დაკავშირებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები ბევრი კარგი წამოწყების ინიციატორებად გამოვიდნენ. პრესაში გამოქვეყნდა რუსეთისა და უკრაინის ინდუსტრიულ საწარმოთა (ურალელთა და ხარკოველთა) ინიციატივა — გავაჩაღოთ შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის სახელობის კოლექტივის საპატიო წოდების მოპოვებისათვის.

იმ დღეებში, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ხშირად იკრიბებოდნენ ბულგაკოვის ბრიგადის წევრები, აანალიზებდნენ ნამუშევარს, საუბრობდნენ თითოეულის შესაძლებლობაზე, გადასინჯავდნენ არსებულ რეზერვებს.

როგორი იყო ეს რეზერვები?

მათთვის ძირითადი იყო დროის ფაქტორი. შეიძლებოდა კიდევ უფრო შეემცირებინათ ქსელის ძაფების გასწორების, ჩაწყვეტილი ძაფის ბოლოს პოვნის, ნასკვის გაკეთების დრო, მთლიანად აღეკვეთათ დაზგის მოცდენა. ამისათვის საჭირო იყო აგრეთვე ქსელების მიწოდება შემჭიდროებულ ვადებში, რაც მათზე როდი იყო დამოკიდებული. ცარიელი ლილვის სავსეთი შეცვლა (მოტანა, მიბმა, გაწყობა) დაახლოებით 45 წუთში უნდა მოხდეს, მაგრამ მოსამზადებელი საამქრო ამას ვერ ახერხებს. ბრიგადირმა თვითონ იკისრა დახმარება ამ პროცესის დასაჩქარებლად.

და გადაწყვიტეს: გორის ბამბეულის კომბინატში პირველნი გამოეხმაურონ ურალელთა და ხარკოველთა მოწოდებას, იბრძოლონ სკკპ XXV ყრილობის სახელობის ბრიგადის წოდების მოსაპოვებლად, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ კომბინატში აღიარებული უძლიერესი ქვეოსტატის — კარლო ბესტავაშვილის და ავთანდილ მახარაშვილის ბრიგადები პირველი საქსოვი ფაბრიკიდან.

ასეთ თაოსნობას, რა თქმა უნდა, ახალი, შესაფერისი ვალდებულებაც სჭირდებოდა. ასეც მოიქცნენ. თავიანთი გადიდებული ვალდებულება 70 ათასით კიდევ გაზარდეს და იკისრეს მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.370 ათასი მეტრი ხარისხოვანი ხამი ქსოვილი, 1976 წლის ორი თვის დავალება კი გაანაღდონ 20 თებერვლისათვის.

ეს თაოსნობა კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა და დაავალა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, აგრეთვე პროფკავშირის საფაბრიკო და საამქრო კომიტეტებს გაევრცელებინათ იგი.

ამის შემდეგ გორის ბამბეულის კომბინატში ახალი ძალით გაჩაღდა შრომა სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. თაოსანთა ბრიგადა წარმატებით ასრულებს თავის გადაწყვეტილებას. მაგრამ მარტო ეს როდი ახარებთ. კომბინატში მათ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდათ, რომლებიც თავდადებით ამრავლებენ საერთო წარმატებებს. სასახელო შრომით თავი გამოიჩინეს მქსოველებმა: მარიამ კაპანაძემ, ანა ჩერნიხმა, ლამარა კაკოიშვილმა, ანა ზუევამ და მრავალმა სხვამ.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მუდამ ზრუნავენ კომბინატის სახელისა და ღირსების ასამაღლებლად. ზაფხულში, როცა ფაბრიკას მუშახელი აკლდა და ძლიერი სიცხის გამო დაზგებსაც უჭირდათ (თურმე გვალვა დაზგებზეც მოქმედებს!), სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავზე, ვეტერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარჯვნიდან: ოლია მეყანწიშვილი, მარია ისაევა და თამარ გოგოლაძე.



ჟუჟუნა ქურდაძე



მარიამ კაპანაძე

ნი მქსოველი მარიამ კაპანაძე ორმოცდა-თოთხმეტ დაზგასთან დადგა და დღესაც წარმატებით ემსახურება ორმოცდათოთხმეტივეს. მალე მის მაგალითს მიჰბაძა ანა ჩერნიხმა, შემდგომში კი — ლიდა ბატოვამ.

ასეა, თაოსანის, ნოვატორის ძალა მარტო პირად წარმატებებში როდია. ნოვატორი დიდი, კეთილი საქმის წამომწყები ხდება. ამ კეთილმა საქმეებმა მრავალ ფეიქარს მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა მოუტანა. კომბინატში სიამაყით ახსენებენ მათივე სკოლაში გაზრდილი და შემდეგ აქვე დაოსტატებული მქსოველის ლამარა კაკოიშვილის სახელს, რომელმაც ხუთწლედში 870.876 მეტრი ქსოვილის ნაცვლად 1.075.930 მეტრი მოქსოვა. თუმცა ეს ციფრი მთლად ზუსტი როდია. როცა ჩვენ ეს მაჩვენებელი ჩავიწერეთ, ხუთწლედის დამთავრებამდე თითქმის სამი თვე იყო დარჩენილი.

ფეიქართა თავდადებას გორის ბამბეულის კომბინატის დირექცია მზრუნველობით პასუხობს, იბრძვის მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ყველა ფაბრიკას (ასეთი კი აქ ხუთია) აქვს კეთილმოწყობილი სასადილო და ბუფეტი, ჰიგიენის ოთახები, წითელი კუთხეები, სამედიცინო პუნქტები, პოლიტგანათლების კაბინეტი, ბიბლიოთეკა. კომბინატის საწარმოო ტერიტორიაზე გახსნილია ბოსტნეულის, გასტრონომიული, სამრეწველო საქონლის მაღაზიები. ფეიქართა დასახლებაში მარტო შვიდი გასტრონომიული მაღაზიაა, არის აგრეთვე სამრეწველო საქონლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების მაღაზიები, სასადილო-საჩაიე, ახალგაზრდული კაფე. ძველ კლუბს მალე შეცვლის ახალი კულტურის სასახლე. დასახლებას აქვს სამი საშუალო სკოლა, მუშა-ახალგაზრდობის სკოლა, ორი ბიბლიოთეკა, პროფტექნიკური სასწავლებელი, მუსიკალური სკოლა, ორი საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაგა, აგრეთვე სანატორიუმის ტიპის საბავშვო ბაგა-ბაღი, მუშათა საღამოს პროფილაქტორიუმ-სანატორიუმი და, რაღა თქმა უნდა, პოლიკლინიკები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები და მრავალი სხვა.

რა აკლიათ?

წიგნებისა და საავეჯო მაღაზიები, სპორტდარბაზი, საცურაო აუზი.

კომბინატის მუშათა უმრავლესობა კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინებში ცხოვრობს (აშენებული აქვთ 160 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი), ყველა ბინაში ბუნებრივი გაზია.

ფეიქრებს უყვართ თავიანთი პატარა „ქალაქი“, რომელიც მათ თვალწინ, მათი შრომითა და უშუალო მონაწილეობით გაიზარდა და დამშვენდა.

მზია კოზერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ასანიშვილი

1972-1974 წ.წ. მივლინებული ვიყავი არქიტექტორად თავისუფლების კუნძულ — კუბაზე. ამ მზიან, ...სიცილით სავსე ქვეყანაში საოცრად თბილი ადამიანები ცხოვრობენ, ოცნებობენ და აშენებენ ბედნიერ მომავალს ამერიკის პირველ თავისუფალ მიწაზე. ჩემს მოთხრობაში შევეცადე ამესახა მათი დღევანდელი მშვიდობიანი დღე.

ავტორი.

# გაგის ბული

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

წვიმს მონდომებით. ქარი გარდიგარდმო აფრიალებს წვრილი წვეთებით ნაქარგ ფარდებს. გუშინ საღამოს რადიომ გადმოსცა: სამხრეთით, კარიბის ზღვაზე დიდი ქარიშხალი იბადებაო. აკი ამიტომაც მოადგა სამშობიაროს სამხრეთის სოფლებიდან ფეხმძიმე ქალებით სავსე ავტობუსი. მისაღებში ჭედვა იყო, მალე ყველას თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს.

„ვინა თქვა დედის გულის მომგონიო, ვინა? მამისამ რა დააშავა?!“ — ზის ირაკლი მასიურ ხის მერხზე, ერთიანად გალუმპული. სახე გალურჯებია, ვერაფერს ვერ გრძნობს. ზის, დარდად არის ქცეული: „ნაყოფი რომ გაიჩუჩუნებს, ქალი ბადრ მთვარესავით ივსება. — გენაცვალე, მძიმეს არაფერს წაეპოტინო, მაღალზე არაფერი შემოდგა, ფეხი არ აიჩქარო, პატარა გოგო წარამარა ხელში ნუღა აგყავს, დიდი ჩაკურატებული არაა, მაგრამ მაინც... ის კი დადის სახეგაშუქებული, ღიმილი გადასდის ბაგეზე. შენ იხეთქე ყველაფერზე გული...“

...„რა უჟუჟუნებს“, — გაიფიქრა ირაკლიმ, ზეწარი თავზე წაიფარა და გვერდი იცვალა. ოთახის კარი ჭრიალით გაიღო, მერე რაღაც გაშრიალდა.

— შენა ხარ, რუსუდან? — გუმანით მიხვდა ირაკლი.

— ჰო, მე ვარ.

— რაო, აგტკივდა?

— ყრუთ...

— დიდი ხანია?

— ოთხი საათიდან.

— ახლა რომელია?

— ხუთს არაფერი აკლია.

— ოი... ოი... — ირაკლი დაფეთებული წამოვარდა საწოლიდან, ტანსაცმელს ეცა, აჩქარებით იწყო ჩაცმა.

— აქამდე სად იყავი?! — უსაყვედურა ცოლს.

— შემეცოდე უთენია. თანაც რა ამინდია! — სიყვარულით შესცქეროდა აფორიაქებულ ქმარს.

— ნახა რაღა შეცოდების მომენტი! — ირაკლიმ ბუზღუნით გაუყარა პერანგის სახელოში მკლავი, გასასვლელ კარს ეცა.

— საწვიმარი, საწვიმარი წაიღე! — დააწია ცოლმა ხმა.

— ჩქარა მოიტა! — გულმოსულმა გამოსტაცა საწვიმარი, ღიად დაგდებულ კარში გავარდა, სულმოუთქმელად ჩაათავა ვიწრო კიბე.

ზომიერად წვიმს გადარეცხილ ქუჩებში. ირაკლი მიიჩქარის და მიატყაპუნებს სქელძირიან ბათინკებს. „ორი კვარტალიც და მივედი! როგორა თქვა? ამ წვიმაში შემეცოდეო, ეს ქალი გადამრევს!“ — ქუჩის კუთხეში „რანჩო ჩიკოს“ მოძველებულ აბრას რომ მოჰკრა თვალი, ოდნავ დამშვიდდა. „ჩვენებურები მაინც სხვა იმედია!“ ხელმარცხნივ ფართო ქუჩაზე გავიდა და:

— ვალოდია, ვალოდია! — ხმამიწყნარებულ ქუჩაში მოულოდნელად გავარდა, ეცა აგურის კედლებს, დაგმანულ დარაბებს.

— ვალოდია! — ხმას აუწია ირაკლიმ.

არავინ გამოპასუხებია.

„რიჟრაჟზე დიდი დაწყევლილი ძილი იცის, არ გინდა გააგონო?“

— ვალოდია, დაიხოცენით ადამიანო?!

ვიღაცამ მეზობლად სარკმელი გამოაღო.

— მეგობარო, კენჭს ხომ არ ესროდი ფანჯარას?!

— ჰა, კენჭს? — ირაკლიმ მოკირწყლულ ქუჩას თვალი მოავლო. პატარაზე მიდგა-მოდგა.

— რა ვესროლო, ბატონო?! — კაცს პასუხი არ გაუცია, ჩუმად მიიხურა დარაბა.

— ვალოდიააა! — სასოწარკვეთა გაერია ირაკლის ხმას

ვიღაცამ სადარბაზოს სქელშუშიანი კარი გააღო.

— აგაშენა ღმერთმა! — შესძახა ირაკლიმ და რამდენიმე ნახტომით აათავა კიბე.

ღია კარში ზეწარშემოხვეული ვალოდია დახვდა.

— ოჰ, ირაკლი?! შემოდი, შემოდი.

— ნასვამი ხომ არა ხარ?

— ხმა ვერ ვიცანი, ვიფიქრე, ქარიშხლის შიშით აჭაურებმა ნაადრევად ატეხეს ყვირილი-თქო.

— თუ ძმა ხარ, ნუ მოაყოლე. მოდი, ტატიანას სთხოვე ჩაიცვას. გამომყვეს, ბალღთან დავტოვებ.

— რაშია საქმე? — ვალოდია დაბნეული იმზირება სქელშუშებიან სათვალიდან.

— მიდი დროზე, სახლში არ მოილოგინოს რუსუდანმა!

— ახლავე, ჩემო ირაკლი, ახლავე.

ტატიანა გუმანით მიმხვდარიყო ყველაფერს. სანამ ბეცი ვალოდია მიდგებ-მოდგებოდა, საავდროდ გამოწყობილი გამოეცხადა ირაკლის.

— დილა მშვიდობისა.

— გაგიმარჯოს! — შესძახა გაოცებულმა ირაკლიმ, — ძალზე გაყოჩაღდია!

მერე ტატიანამ უფრო ააჩქარა: აბა, შენ იცი როგორ იმარჯვებ ტრანსპორტის შოვნაში, რაღა გესწავლება, დაგვიანება არაფრით არ შეიძლებაო....

. . . . . . . . .

ძველი ფორდის სალონში ბენზინის სუნი დგას.

— თავს ცუდად ხომ არ გრძნობ? — შეეკითხა ირაკლი მეუღლეს.

— ოდნავ.

— გინდა გავაჩერებინებ?
— არა, არ ღირს. მალე მივალთ?
— აგერ ისიც. ფასადი ხომ გახსოვს?
— როგორ არა.

სამშობიაროს სამსართულიანი შენობის ფანჯრებში აქა-იქ მოჩანდა ოქროსფერი შუქი. ცენტრალურ შესასვლელში, პორტიკის თავზე, ნაცრისფერი კედლის ფონზე, თეთრი მარმარილოს ქალი იდგა პირმშოთი ხელში, იდგა, სიმშვიდის, იმედის, მომავლის ნიშნად!

სამშობიაროს მისაღებში ახალგაზრდა ზანგმა, პარტიის საქალაქო კომიტეტიდან რომ წამოჰყვა, მორიგე ექთანს რაღაც აუხსნა, ალბათ, უცხო ქვეყნიდან არიან და არ ალოდინოთო. მერე ირაკლის მიუბრუნდა, კიდევ ხომ არაფრით შემიძლია გემსახუროთ? ირაკლიმ ხელი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა და სევდაგარეული ღიმილი გააყოლა მიმავალს.

რუსუდანი მაშინვე გასინჯეს. შუადღემდე უეჭველად იმშობიარებსო, აუწყა მწვანეხალათიანმა ექიმმა ქალმა.

— აბა, შემოგევლე, არ ინერვიულო! — დაამშვიდა ირაკლიმ მეუღლე.

— ჰო... არ წაიჩხუბოთ, ნუ გაუწყრები, ცოდვაა უდედოდ.

— ეგ რამ გაფიქრებინა, რატომ უნდა წავიჩხუბოთ?! შენ იცი, როგორ ყოჩაღად მოიქცევი.

— შენებურად არ გადმოაბრუნო კარადები, ეკას კაბები და თეთრეული მის საწოლზეა.

მერე რუსუდანი თვლებიან სავარძელში ჩასვეს და გრძელ დერეფანს გაუყენეს.

გარეთ წვიმიანი ღამე ფეხს ითრევდა. შეუმჩნევლად იცრიცებოდა ცა.

რკინაბეტონის თაღოვანი ფილით გადახურულ ღია მოსაცდელში ძაღლი არ გაიგდება. ქარს წვიმა ჰორიზონტალურად გააქვს და გამოაქვს. სამშობიაროს მისაღებიდან გამოსული ირაკლი მოსაცდელს გაუყვა. ერთსართულიან, მოშლილ ქოლგის მსგავს სახურავიან შენობას მიადგა. პატარა დარბაზში ერთმანეთს შერევია ნესტის, შმორისა და წამლის სუნი.

„რა ვქნა ახლა მე, ლოდინს შერჩენილმა მშობელმა?!“ — გაიფიქრა ირაკლიმ. უაზროდ მოავლო დარბაზს თვალი, იქვე კედელთან მდგარ ხის მასიურ მერხზე ჩამოჯდა. ხელმარცხნივ, მწვანე კედელზე თეთრად დახატული ცხრილი ჰკიდია.

ახლა ბოლთის ცემას მოჰყვა ღია მოსაცდელში. ქარი წვიმის ზეწარს ხან ზურგიდან შემოაწნავდა, ხან ცხვირპირიდან. „წვიმაც რომ თბილი აქვთ, ამ დალოცვილიშვილებს!“

იმარჯვა თუ არა დღემ, ქუჩაში ხალხი აირია. ვისაც რა ეშოვებოდა, ის წამოეხურა თავზე და გარბოდა: მუყაო, კუბოკრული მუშამბა, თუნუქის ნაჭერი, საწვიმარი, გაზეთი... ერთიანად გაულენთილი ირაკლი წინდაუკან ნერვიულად დააბოტებდა. „ნეტავ, რა დრო იქნება გასული?“ „გოგო გინდა თუ ბიჭი?“ — აგერ მერამდენედ ეკითხება რაღაც ხმა. „ორივეს კარგად ყოფნა!“ — პასუხობს გულმოსული. „არა, მაინც რომელი გინდა?“ „სულ ერთია!“ „მაინც?“ „კარგად გადარჩენა და, რა მნიშვნელობა აქვს!“ „გამოტყდი, რომ ბიჭი გირჩევნია.“ „თუ იცი, რა თავი წამჭამე?!“

ქარი ძლიერდება. წვიმა წვეთს ხან მოუმსხვილებს, ხან მოუწვრილებს. გამოდარების ნიშანიც არაა. თუ რამ მოსახდენი იყო, შუადღისას ელოდნენ.

„შევიდე, რას დავაბოტებ რეტდასხმულივით. მაინდამაინც ახლა უნდა გავიციო თავი?“ — გაიფიქრა ირაკლიმ და კვლავ იმ მასიურ მერხზე ჩამოჯდა. წყლის გუბე დააყენა მოზაიკის ფერად იატაკზე. „პატარა გოგო როგორაა ნეტავ? საბრალო, არც დედა, არც მამა!“

უნიჭოდ გადახურულ შენობას ფანჯრები ისე მაღლა შერჩენოდა, კიბის დაუხმარებლად ვერც მათი გაღება-დაკეტვა ხერხდებოდა, ვერც მათი გაწმენდა. დარბაზში რამდენიმე კაცი აირია, ყველა რაღაც წინადადებას იძლეოდა, ხელის განძრევა ეზარებოდათ. ორმა ახალგაზრდამ ერთხანს ყური უგდეს მათ ლაყბობას, მერე ერთი მათგანი ორფეხა კიბეზე ავიდა, მეორემ ცალპირზე წებოწასმული ქაღალდი წყლიანი მჩვრით დაასველა და პირველს მიაწოდა. კიბეზე ასულმა, ალმაცერად მიაკრა შუშას. სულ მალე ფანჯრები ავის მომასწავებელ ჯვარედინა ხაზებით აივსო.

„სად მინახავს ასეთი რამ?“ — შესცქერის და ვერ გაუხსენებია ირაკლის. „ჩვენში ქარიშხალი არ იცის. არა და, საიდან მახსოვს, რას მაგონებს... ჰოო, დაბომბვის მომლოდინე ფანჯრებს! ნეტავ საოპერაციოს ფანჯრები თუა ასე დაზოლილ-დახაზული?.. აბა რა იქნება. ქალალდებს პირველ რიგში იქ მიაკრავდნენ“.

ირაკლი გაქვავებული ზის მასიურ მერხზე. დარდსა და ლოდინს შეგუებულს, ჭაღარათმიანი, დაბალი ქალი უახლოვდება:

— თქვენ რუსუდანის მეუღლე ხართ?
— დიაღ, ქალბატონო! — ფეხზე წამოდგა.
— ბარონ! ბარონ!

„რას ამბობს? ბარონ გოგოა თუ ბიჭი? რა მემართება, იმდენი ესპანური კი ვიცი, გოგო ბიჭისაგან გავარჩიო!“

— ბიჭია?!
— ბიჭია! ბიჭი!

ირაკლი მოწყვეტით დაეშვა მერხზე. ყველაფერი აკანკალდა, წყალში გაიშალა გაურკვეველი ფორმის შავი და თეთრი ლაქები. წყვილი ცრემლი ჩამოუცურდა ლოყაზე.

ჭაღარათმიან ქალს გაეღიმა და წავიდა.

ირაკლის არ ახსოვს რამდენ ხანს იყო ასე, მერე თანდათან ყველაფერმა თავისი სახე მიიღო. გამოვარდა გარეთ, ჭაღარათმიან ქალს დაუწყო ძებნა. ქალი წასულიყო, არც მისი ნაკვალევი ჩანდა წვიმით გადარეცხილ ქუჩებში, არც მისი ასავალ-დასავალი იცოდა ვინმემ.

„ბიჭია?! ქალს ხომ რამე არ შეეშალა?“ ეჭვშია ირაკლი, ამბის დასაზუსტებლად გარბის. სამშობიაროს ცენტრალურ შესასვლელში პატარა სარკმლიდან აუწყებენ ქვეყანას ახალი სიცოცხლის ამბავს. სარკმელს გამხდარი მულატი ქალი მოსდგომია:

— ანა-რიტა მენდოზა! ვინაა ამბის შესატყობად მოსული?
— აგერა ვარ! — იყვირა მოხუცმა დედაკაცმა.
— გოგოა, გოგო!
— იცოცხლე, გენაცვალე, შენს პირს შაქარი!
— სამი კილო და ექვსასი გრამია, სიგრძე — ორმოცდაშვიდი სანტიმეტრი!
— შენს პირს შაქარი, შვილო! — გახარებულმა დედაბერმა სელის ტომარა თავზე გადაიფარა. თავსხმაში წაცუხცუხდა.

ერთხანს სიცარიელეა ღია სარკმელში. ისევ ის ქალი აცხადებს:

— მარია-ტერეზა მორგადო!

არავინ გამოპასუხებია.

— ვინ ელოდება მარია-ტერეზა მორგადოს?!

სიჩუმეა ისევ. „დავიჯერო არავინაა მოსული ჭირისუფლად?! — უკვირს ირაკლის.

— მარია-ტერეზა მორგადო. — ხმას დაუწია გამხდარმა ქალმა.
—აქა ვარ, ქალბატონო! — ველარ მოითმინა ირაკლიმ.
— გოგოა, გოგო! სამი და ორასი, მშობიარობა ნორმალურია.

ამოლამებული მზერით, გაცვეთილი სახის ფერით, უმოძრაოდ დაყუდებულან ადამიანები პორტიკის ქვეშ.

სიცოცხლე მოდის ჯიუტად: პატრონიანის თუ უპატრონოსი, ყურადღებით თუ უყურადღებოდ. სიცოცხლე მოდის მზეში, ქარში, წვიმაში, მოაქვს ახალი სიხარული თუ დარდი. მოდის! მოდის!..

— მარიამ სიტ-სან!

სიჩუმეა.

— მშობიარე მარიამ სიტ-სან!

ქარი მოსთქვამს ნაცნობი მელოდიით.

„რა უცნაური გვარია. ესეც უპატრონოა? ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, არაფერი გაუჭირვო მარტოხელა დედა-შვილს!“ — იხვეწება ირაკლი.

— მარიამ სიტ-სან! — მესამედ იყვირა გამხდარმა მოწყალების დამ.
— აგერა ვარ, ქალბატონო! — ისევ ჭირისუფლობს ირაკლი.

მოწყალების და იცინის, უკბილო ბაგე ხანს მატებს ისედაც შეუხედავს.

— ბიჭია, ბიჭი! ოთხი და ორასი. მშობიარობამ კარგად ჩაიარა
— დღეგრძელი გაზრდილიყოს!

მშობიარეთა ჭირისუფლებში ერთი ახალგაზრდა გამოირჩევა ნერვიულობით. განუწყვეტლივ ეწევა სიგარეტს. ზოგჯერ თავსხმაში გადის, დადგება. მერე ისევ გადახურულში შემოაბოტებს.

— თქვენმა მეუღლემ იმშობიარა? — ირაკლის ეკითხება.
— კი, ბატონო.

— რამდენ ხანში?

— დაახლოებით სამ საათში.

— ეჰ, ჩემი აგერ რვა საათია წვალობს.

— პირველია? — დაინტერესდა ირაკლი.

— დიახ.

— იმიტომაც. პირველზე ასე იცის, ჩემი უფრო მეტ ხანს წვალობდა, ტყუილად ნერვიულობ, ყველაფერი კარგად დაბოლოვდება.

ახალგაზრდა კაცს იმედის ოდნავი შუქი შეეპარა თვალებში.

პატარა სარკმელში მწვანეხალათიანი ექიმი გამოჩნდა.

— თქვენ ვაჟი შეგეძინათ.

ირაკლი უკან იხედება.

— თქვენ, თქვენ!

— მეე?!

— დიახ! მშობიარობა ნორმალურია, ბავშვის წონა — სამი და სამასოცდაათი, სიგრძე — ორმოცდაცხრამეტი სანტიმეტრი.

— თუ შეიძლება ორიოდ სიტყვას დავწერ და გადაეცით.

— სიამოვნებით.

რის ვაი-ვაგლახით გამოიყვანა ქაღალდზე: „ჩემო რუსუდან, ჩემო გიგა! სიგიჟემდე ვხარობ. გკოცნით, გეხვევით. მამა ირაკლი“!

— უზომოდ მადლობელი ვარ.

— არ ღირს. — მწვანეხალათიანი ექიმი წავიდა.

ირაკლი მექანიკურად ამოძრავდა. შეერია თავსხმას, გახურებულ სახეს უშვერდა. თბილი წვიმა ვერც მიწას აგრილებდა, ვერც მწვანე მოლს.

მიდის ირაკლი, მიაბოტებს, ქვეყანა თავისი ჰგონია. კარგა შორიდან გამოხედა სამშობიაროს ნაცრისფერ შენობას. ახლა ამაზე მშობლიური ქვეყნად სახლი არ ეგულება. „საით გაგიწევია?“ — ჩაესმა ცხოვრების მომწესრიგებლის ხმა. „საითაც გულს მიუხარია!“ „მაინც?“ „წავალ, პატარა გოგოს მივხედავ. შუადღემდე დედა-შვილს მაინც არავინ მაჩვენებს“. „მერე და, ფეხით აპირებ ქალაქში გასვლას?“ „რა ვქნა, გადავირიე, განა მიზეზი პატარა მაქვს?“ — თავს იმართლებს ირაკლი. „დამერეკა მაინც სამსახურში?!“

ძლიერდება სამხრეთის ქარი, ქვეყანა თითქოს წვიმად იქცა.

კარგა ხანს ელოდა ირაკლი ყურმილით ხელში. „კაციშვილი არაა. ალბათ, ქარიშხლის შიშით არავინ მოსულა სამუშაოდ“.

— ალოო, მორიგეა?!

. . . . . . . . .

— უცხოელი ვარ, გენაცვალე... ვაჟი შემეძინა... დიდი მადლობა... ავტოს თაობაზე გაწუხებთ.

. . . . . . . . .

— აბა თქვენ იცით, ველოდები!

ის იყო, ირაკლიმ იმედი გადაიწურა, სამშობიაროს ეზოში ინგლისური ჯიპი შემოგრიალდა.

ირაკლი იცინის. შოფერი და ახალგაზრდა ინჟინერი ავტოდან გადმოცვივდნენ, ულოცავენ ვაჟიანობას, ეხვევიან, ბეჭებზე ხელს უტყაპუნებენ.

„შენ რომ დარეკე, მეც იქვე ვიდექიო, მაშინვე წამოვედითო, ბენზინი ჩავასხით და წამოვედითო. ისეთი გუბეები დგას, ძლივს გამოვაღწიეთო“. — თავი იმართლა რობერტო შოფერმა.

— როგორ გალუმპულხარ? — უკვირს ახალგაზრდა ინჟინერს — მიგელ სანჩესს.

— ამ წვიმაში მაშ რა დამემართებოდა.

— ბალღი და რუსუდანი ხომ კარგად არიან? — კითხულობს რობერტო.

— ღვთის წყალობით კარგად, ჩემო რობერტო.

ირაკლი კვლავ იცინის, სითბოთი ევსება სხეული, სიხარული ყველა უჯრედში შედის. თურმე, ახლობელთა თანდასწრება სჭირდება ყოველგვარ განცდას...

— აბა, წავედით ჩემთან!

მიჰქრის ინგლისური ჯიპი თავსხმაში. ყველაფერი ნაცრისფრადაა გაცრეცილი. კარის ზღურბლთან პირმშოს დანახვისას ირაკლის სხეული მოერღვა.

— მამა! — იყვირა შავთვალება პატარა ეკამ.

— მამა შემოგევლოს, შვილო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედიკო?

— მოვა გენაცვალე, გიგას მოგვიყვანს და მოვა.

— გიგა?! — ერთი ციდა ეკა კისკისებს, მაგრად ეხუტება მამას. მამა აბრეშუმივით ნაზ, ხუჭუჭა თმას უკოცნის.

ტატიანამ ირაკლის დახმარებით მშვენიერი სუფრა გაშალა.

გრძნობით თუ აივსე, უნდა სთქვა, თორემ გასკდება გული. ვინმეს თუ არ უწილადე შენი სიხარული, ჩაბრუნდება სხეულში, უბედურებას დაგმართებს.

ტატიანამ ირაკლის დაუბარა: „სამშობიაროში უჩემოდ არ წახვიდეო, უეჭველად გამომიარეო, აბა შენ იცი, სასმელს ნუ მიეძალებიო...“ პატარა ეკას თბილად ჩააცვა და მოქეიფეებს გაარიდა.

წავიდა ტატიანა და ვალოდიაც გამოჩნდა, შემოვიდა, ვერცხლის კბილების ელვარება დააყენა. სუფრას ოთხნი შემოუსხდნენ; ახალშობილი დალოცეს, დედას ჯანმრთელობა უსურვეს, არც სიხარულით გადარეული მამა დავიწყებიათ. მერე მიდგნენ-მოდგნენ, მტერმოყვარეს შეატყობინეს: იმავე ქალაქში თუ მეზობელ პროვინციებში, ახლო მეგობრებსა თუ ოკეანის გაღმა ნათესავებს, ტელეფონითა თუ დეპეშით, მანქანითა თუ ფეხით. გაივსო სახლი სტუმრებითა და ღიმილით. მოდიოდა ყველა, ვისაც მოესვლებოდა, სიხარულის შუქი სახლში რომ ვერ დაეტია, გარეთ გავარდა, ქარიშხლის მომლოდინე ქალაქს გადაევლო.

ირაკლი ღიმილად ქცეულა, სასმელი სიხარულს შეშველებია, გადაურევია კაცი. სტუმრებს წარა-მარა მემკვიდრის სადღეგრძელოს სთავაზობს, ისინიც სიამოვნებით იზიარებენ მის ალტაცებას.

ნაშუადღევს ირაკლიმ მასპინძლობა ვალოდიას მიანდო, მოუბოდიშა სტუმრებს, ინგლისური ჯიპით სამშობიაროსკენ გასწია. გზად რობერტოს დახმარებით წითელი ვარდების თაიგული იშოვა. ვარდებითა და სიყვარულით მიადგა რუსუდანის პალატას. რუსუდანი ფერმკრთალი იწვა. სიამაყეგარეული შუქი ედგა თაფლისფერ თვალებში. ირაკლი შუბლზე ეამბორა.

— ხომ არ გაგიჭირდა, გენაცვალე?

— არც ისე... გიგას ახლავე შემოიყვანენ.

— ვარდები მოგიტანე.

— რა ლამაზებია!.. საჭმელი დაგავიწყდა?

— აუჰ! აკი ტატიანამ გამაფრთხილა, უჩემოდ არ წახვიდეო, მაინც დამავიწყდა.

— არა უშავს, რომ დაბრუნდები, ტატიანა გამოგზავნე.

— უეჭველად, ჩემო რუსუდან!

მალე ახალშობილი შემოიყვანა მოწყალების დამ. ბიჭი თეთრი იყო, ნისლისფერი თვალებით, წაბლისფერი ფშეკელა თმით.

მამამ შეხედა ბიჭს, რუსუდანმა — მამას. ირაკლიმ ხმამაღლა გაიცინა. რუსუდანს ლოყის თავებზე ვარდისფერი შეეპარა...

შინ მიბრუნდა ირაკლი. რობერტომ ტატიანა მიჰგვარა რუსუდანს. ტატიანას არც მოსატანი დავიწყებია, არც წასაღები; ყველა წვრილმანში გაერკვა, არაფერი გამოჰპარვია, კარგახანს იფუსფუსა დედაშვილთან, ბოლოს:

— ხვალ რომელზე გამოგწერენ? — ჰკითხა რუსუდანს.

— ორ საათზე, ბავშვის თეთრეულიდან არაფერი დაგავიწყდეს.

— გულდინჯად იყავი, — დაამშვიდა რუსუდანი და შინისაკენ აჩქარდა.

დღე ჩათავდა ქარისა და წვიმის წვალება-მუქარაში. ღამე გაცილებით ადრე მოვიდა, ვიდრე შუქიან დღეებში. ქარიშხალს კუნძულის მოშორებით ჩაევლო, ალბათ სხვაგან მოიქნევდა თავის საშინელ კუდს. სუსტი ქარი მოსვენებას არ აძლევდა ქალაქს.

სტუმრებმა მოგვიანებით დასტოვეს სიხარულით ამაღლებული ჭერი. დარჩნენ ირაკლი და ვალოდია.

— წამო, ჩემს ოჯახში ვთქვათ გიგას სადღეგრძელო! — შეეპატიჟა ვალოდია.

— ჰა... — გამოერკვა ფიქრებში წასული ირაკლი.

— ჩემთან წავიდეთ.

— ჰო, წავიდეთ.

პროვინციული ქალაქის სკვერები და ქუჩები ადრიანად მიეტოვებინათ აქაურებს, პირწმინდად დაგმანულ დარაბებიან შენობებში შეყუჟულიყვნენ. ირაკლი და ვალოდია ოდნავ ფეხარეულნი მიაშლაპუნებდნენ უკაცრიელ ქუჩაში...

პატარა ეკას მამის დანახვაზე სიხარულით აევსო დიდრონი შავი თვალები. მამა სავარძელში ჩაჯდა. პირმშო დაისვა მუხლებზე, ალერსად იქცა.

ვალოდიამ დაბალი კარადიდან ძველებური რომით სავსე ბოთლი და ჭიქები გამოიღო. ჭიქები პირამდე გაავსო. ერთი ირაკლის მიაწოდა, მეორე თვითონ შეიტოვა. დალოცა პატარა ბიჭი, სულმოუთქმელად შესვა. ირაკლიმ უფრო დაგემოვნებით მიირთვა მაგარი სასმელი. თითოც რომ გამოცალეს, საქმეში ტატიანა ჩაერია, მთლად ნუ გადაირევითო, ხომ იცი, ირაკლი, ეკა ამაღამ შენს ანაბარასააო, ჯობია ყველამ ისევ შენსკენ გავწიოთ, აქაურობას მოვაწესრიგებო... ტატიანას აზრი ყველას მოეწონა.

ერთხელ კიდევ აახმაურეს ჭერი. ნასუფრალი ტატიანამ და მისმა წამოჩიტებულმა ქალიშვილმა აალაგეს, დასარეცხი დარეცხეს, გასაწმენდი გაწმინდეს, მყუდროება დაუბრუნეს ოჯახს. ძილი ნებისა თქვეს და მთელი ოჯახი გაიკრიფა.

პატარა ეკას მალე ჩამოეძინა მამის მხარზე. ირაკლიმ ბავშვს ტანთ გახადა, საწოლში ჩააწვინა. ერთხანს უაზროდ დაბორიალობდა. ისევ დაიმარტოვა სიხარულმა, აწვალებდა, ავსებდა, გადმოდიოდა ცრემლად და ღიმილად. ნატვრაახდენილმა, მაინც რაღაც ინატრა, შინ — საქართველოში ყოფნა, ყველა ნატვრაზე, ყველა სიხარულზე დიდი რამ!

მერე ნელთბილი წყალი გადაივლო მთელი დღის ნაწვალებ სხეულზე, საძილედ გაემზადა. გვერდით დაიწვინა პატარა ეკა, ყური მიუგდო ქარის სიმღერას და ჩაეძინა.

შუაღამე ან იქნებოდა, ან არა.

— დედა, დედიკო! — ტირილნარევი ძახილი ჩაესმა.

— აქა ვარ, მამა შემოგევლოს.

პატარა ხელის ფათურით ეძებდა სიბნელეში დედას, მამის წამოზრდილ წვერს ხელი რომ წაატანა, ტირილს უმატა:

— დედა, დედიკოოო...

წამოდგა ირაკლი საწოლიდან, სინათლე აანთო. ეკა სულ კუნწულა ცრემლებით ტიროდა. ხელში აიყვანა, შვილმა მამის კისერსა და მხარს შუა ჩაყო თავი:

— დედიკოოო... დედააა.

— სუუუ.... შვილო, სუუ....

გაატარ-გამოატარა გრძელ დერეფანში, ბეჭებზე ხელს უსვამდა ნაზად.

პატარას როდის-როდის ჩაეძინა. ირაკლიმ ერთხანს კიდევ ასეირნა ქალიშვილი, ბოლოს მის საწოლში ჩააწვინა, გულდაგულ შემოუკეცა საბანი, სათამაშოები კუთხეში მიაქუჩა.

სიგარეტი მოძებნა, მოუკიდა, გულ-მუცელი ჩააშომმინა თამბაქოს კვამლმა. გავიდა აივანზე. ქარი წვიმის თხელ ფარდებს ისევ ალმადალმა დააფრიალებდა. გახურებულ თავ-პირზე ჩამოწუწული თბილი წვიმა ოდნავ გვრიდა შვებას.

ხარბად ეწეოდა სიგარეტს.

„რამდენს ვეხვეწებოდი რუსუდანს, ეკას შენთან წოლას ნუ მიაჩვევ-თქო!“

— იმ ქალს დედის გული აქვს თუ არა?! — მიუსისინა ქარმა.

— აქვს, ბატონო!

— ის ქალი, ამ სიშორეს გადმოხვეწილი, რაღაცას შიშობდა თუ არა?!

— კი, ბატონო!

— ჰოდა, რა ექნა?!

— არაფერი, ბატონო... მე რაღა ვქნა, მამის გული ქვისაა? დედის გული გულია, მამისა — ხეა?

ასე ბურტყუნით მიაშურა საძინებელ ოთახს, ზეწარში გაეხვია და ქარის ძველ მელოდიაზე ჩაეძინა.



# ზაფხულის ერთი თვე

ეს იყო ამ ზაფხულს. უკეთ, ზაფხულის ერთ თვეს.

ხარაგაულიდან — ახალციხემდე!

ქართველ კაცს შეუძლია ზეპირად ჩამოთვალოს ამ გზაზე გაყოლებული რაიონული ცენტრები. ქალაქები, დაბები, სოფლები... თუმცა, ქალბატონი მედეა ჩახავა უფრო აზუსტებს: 28 რაიონი.

დიახ, საქართველოს ოცდარვა რაიონი გაახალისა ამ ზაფხულს მისმა ნიჭიერებამ. პირისპირ იხილა ეს ნიჭიერება და ხელოვნება მრავალმა და მრავალმა, აქამდე მისმა უნახავმა თაყვანისმცემელმა. შეგვეძლო მედეას გარეშეც მოგვეთხრო ამ მოზეიმე ზაფხულის შესახებ, იმ სიყვარულის შესახებ, რაიც მთელს გზაზე მისდევდა მსახიობს, იმ ყვავილებზე, იმ ლექსებზე, იმ ემხსა და სიკასკასეზე... შეგვეძლო, რადგან რაიონული გაზეთები ერთგული მიმდევრობით აშუქებდნენ ამ თავისებურ ტურნეს, თავისებურს კი არა — თავისთავადს, ორიგინალურს. მაგრამ, მაინც მასთან მისვლა ვარჩიეთ. კარგიც ვქენით: სიხარული ხომ გადამდებია? აი, ეს გადამდები, წრფელი და ანკარა სიხარული დაგვეუფლა მისი ხილვისას: რამდენი შთაბეჭდილება, რამდენი კარგი მოგონება, და რაც მთავარია, რამდენი კარგი, დიდებული ადამიანი!

— „რამდენი მეგობარი შევიძინე! რამდენი დიდებული მეგობარი!“

იმ ახალ მეგობართა ბარათებით, მოკითხვის წერილებით, ნახვის სურვილითა და სიყვარულით აღსავსე დეპეშებით სავსეა მისი მაგიდა.

რაკი სიტყვა ამაზე ჩამოვარდა, ზაფხულის იმ ერთ თვეს არც ძველ მეგობრებს მიუტოვებიათ მარტო:

„...ქალბატონო მედეა, თქვენ ქართული თეატრის მშვენება ბრძანდებით... თქვენი მაღალი ნიჭის თაყვანისმცემელი **ლადო გუდიაშვილი**“.

„... მინდა ყველა სიკეთე გისურვო. ძვირფასი ხარ ქართული ხელოვნებისათვის და უნდა დიდხანს ბრწყინავდე. გეხვევი. გკოცნი. შენი **ვერიკო ანჯაფარიძე**“

და კიდევ მრავალი, მრავალი საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანი, ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან, ყოველი თეატრიდან: მიხეილ ქაროვი, ევგენი ლებედევი, იოსებ თუმანოვი, ვახტანგ ჭაბუკიანი, იოსებ კობალაძე, ედიშერ მაღალაშვილი, გრიგოლ ტყაბლაძე, ალექსანდრე ესკინი, ბაბაიანი, ჯანიბეკიანი...

დეპეშებს ფრთხილად ვაწყობთ. „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ — ასეთი სახსოვარი, გულის სახსოვარი კი მეტად ძვირფასია, მით უმეტეს, როდესაც 30-წლიან შემოქმედებით წარმატებას გულწრფელად, ალალად და სიყვარულით გილოცავენ.

და აი, ეს მოლოცვა ამ ზაფხულს თითქოს მთელმა საქართველომ აიტაცა, აიტაცა ორიგინალურად: ახლა თავისთან, თავის გულში, თავის გამრჯე, პირნათელ, შრომის ადამიანებთან მიიწვია საყვარელი მსახიობი, გულივით გადაუშალა ბაღ-ვენახი, ნარინჯოვანი ველები, ჩაის პლანტაციები, ახალშენობანი, ახალსახლობანი, მოუსმინა, იხილა, და... თავადაც მოასმენინა, მოუთხრო იმ უჩვეულო შრომით აღმავლობაზე, ენთუზიაზმზე, ამ ბოლო წლებში რომ დაეუფლა ქვეყანას.

მაგრამ, ახლა კვლავ რესპუბლიკის სახალხო არტისტთან, მედეა ჩახავასთან ერთად ვდგავართ თითქოს სახალხო თეატრების, კულტურის სახლებისა თუ კლუბების სცენაზე. იგი ხალისიანი, მომღიმარე ჰყვება საკუთარ ცხოვრებაზე, ჰყვება ჰუმორით, რაიც ასე ნიშანდობლივია ამ მშვენიერი მოსაუბრისათვის და ამავე დროს ეს არის ერთგვარი იმპროვიზაცია. ეს იყო მისთვის მშობლიურ აბაშაში, ეს იყო მახარაძეში, ლანჩხუთში, ვანში, გალში, წალენჯიხაში, ახალციხეში, ჩხოროწყუში, გეგეჭკორში, ზესტაფონში... შემდეგ მხატვრული კითხვა, შემდეგ ფილმები მისივე მონაწილეობით, შეკითხვები, პასუხები, და ყველგან ერთადერთი უმაღლესი გრძნობა — სიყვარული ხელოვნებისადმი, ქართული სცენისადმი! ამ სიყვარულის გამოისობით იცნეს იგი ზარზმაშიც, ვარძიაშიც, შორეულ მთიან სოფლებშიც..

დიახაც, რომ თბილისამდე დაედევნა ეს დიდი ტრფიალი, თავი დაამახსოვრა და მადლიერებით გაავსო.

ამ მადლზე ჰყვება ახლაც, ჰყვება არა მარტო როგორც ხელოვანი, როგორც მოქალაქე, როგორც ნამდვილი შვილი თავისი ქვეყნისა. იგი გამოდიოდა პარტერიდან და ახლა მასპინძლების ჯერი დგებოდა. ისინი სიამაყით უყვებოდნენ მსახიობს იმ წარმატებებზე, იმ გეგმებზე, მათ რომ მიაღწიეს, მათ რომ დაისახეს, ძირისძირობამდე აცნობდნენ რაიონს, ისტორიულ ძეგლებსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს, გაშლილ პლანტაციებსა და ახალ უბნებს, გამზირებს, საწარმოებს...

— მე გთხოვთ აღნიშნოთ, აუცილებლად აღნიშნოთ, — მგზნებარედ ამბობს ქალბატონი მედეა, — რატომ მოისწრაფის ქალაქისაკენ ასე ჭარბად ახალგაზრდობა? რატომ არ ბრუნდება სოფლად ინტელიგენცია? იქ, რაიონებში ხომ უკვე ყოველგვარი პირობაა შექმნილი, ხომ თითქმის წაშლილია უკვე ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის? ტელევიზია, თეატრი, კომფორტი... დატოვო ასეთი მხარე, ასეთი კეთილმოწყობილი ბინები, ასეთი ჰაერი — ეს დანაშაულია, დანაშაული! მე გული მტკივა, ძალიან მტკივა...

და კვლავ თავის ახალ მეგობრებზე ჰყვება — რაიონების პარტიულსა და საბჭოთა ხელმძღვანელებზე, ნამდვილ ინტელიგენტებზე, კომუნისტებზე, ენთუზიასტებზე, რომელთაც ასე უყვართ დღე — დღევანდელი, ასე სწამთ დღე — ხვალინდელი!

კონვერტიდან ვიწროდ ჩამოჭრილი ქაღალდი დაცურდა:

„ჩვენო კარგო, თბილო, ტკბილო და ანდამატივით მიმზიდველო მედეა“, მასპინძლის ნებართვით კითხვას ვაგრძელებთ: „არც კი იყავით გასული რაიონიდან და ჩვენ უკვე გვენატრებოდი... ვბედავთ და სურათებსაც გიგზავნით. როგორი უშნოები ვჩანვართ თქვენს გვერდით. შეგრცხვებათ ამის თბილისში გამოჩენა. მაგრამ, თქვენებურად, ლამაზად, თბილად გადაეცით სურათის მნახველთ, რომ ჩვენც, თქვენს გვერდით მდგომნი, ფაქტიურად კარგები ვართ!.. გკოცნით. **თამარ დოლიძე**. ლანჩხუთის რაიონული გაზეთის რედაქტორი“.

ადამიანებო! თქვენ მართლაც, მართლაც კარგები ხართ!

ნაზი კილასონია



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამამულო ომის ექო

# სიყვარულში დაფერფლილი სიცოცხლე



„ჩვენ მალე გავანადგურებთ საზიზღარ ფაშისტურ ურდოებს, მკერდით დავიცავთ საყვარელ სამშობლოს და გამარჯვებული დავბრუნდები ჩემს საყვარელ მზიურ საქართველოში... თავს გაუფრთხილდით, ჩემზე არ იდარდოთ. გელას მოუარე, დავკოცნი ჩემს საყვარელ შვილიკოს თავიდან-ფეხებამდე... აბა, თქვენ იცით, როგორ გამახარებთ ხშირი წერილებით და თქვენი კარგად ყოფნით... გეამბორებით ორთავეს. — თქვენი თედო". — ასეთ წერილებს უგზავნიდა ფრონტიდან თავისი ცხოვრების მეგობარსა და მეუღლეს — ნინო დიმიტრის ასულ გიორგაძე-პატარაიას თბილისის მეშვიდე აფთიაქის ყოფილი მმართველი, ქიმიკოსი თედორე ივანეს ძე პატარაია.

ნინო მხიარული და ბედნიერი იყო მაშინ, როცა ქმრისგან სამკუთხა ბარათს მიიღებდა.

პატარა გელაც სიხარულით შესცქეროდა საყვარელ დედას, რომელიც უამბობდა მამის გმირულ საქმეებზე.

ნინო ხშირად იგონებდა, როგორ უყვარდათ ერთმანეთი მასა და თედოს სკოლის მერხიდან. დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და დაოჯახდნენ. შეეძინათ შვილი — პატარა გელა. როგორ გაიხარეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა! სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა ეს სიხარული. ჯერ იყო და, ფინეთის ომმა დააშორა ისინი ერთმანეთს, მერე კი ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, დაირღვა მყუდროება, ბედნიერება. ცოლები ქმრებს მიაცილებდნენ ფრონტზე, დედები — შვილებს, დები — ძმებს, მხოლოდ გამარჯვების იმედით ცხოვრობდნენ და შრომობდნენ.

ნინო სათუთად ინახავდა გულში მეუღლისადმი განსაკუთრებულ დიდ სიყვარულს. გადიოდა თვეები, წლები, და, აი, 1943 წლის აპრილის თვეში, როდესაც ბუნებაში სიცოცხლემ გაიღვიძა, ალუბალი, ტყემალი და ნუში აფეთქდა, ფოსტალიონმა ნინოს სამკუთხა წერილი მიუტანა. გახარებულმა ქალმა ბარათს ხელი დასტაცა, დახედა და სხეულში სიმწრის ჟრუანტელმა დაუარა. აკანკალებული ხელით გახსნა იგი და ბოლო სტრიქონი წაიკითხა... წერილს ხელს აწერდა უცნობი ქალი — მატრონა გერასიმეს ასული ხრაპოვა, წაიკითხა და ყველაფერი ნათელი გახდა: მისი მეუღლე, ვისაც ასე მოუთმენლად ელოდა, ფრონტზე გმირულად დაცემულიყო... ხრაპოვა წერდა: „სალამი ნინო და პატარა გელა! მართალია, არ გიცნობთ, მაგრამ თქვენზე ყველაფერი ვიცი თქვენი მეუღლისა და მამის თევდორე ივანეს ძე პატარაიასაგან... ის ჩემს ბინაში ორ თვეს ცხოვრობდა და ამ პატარა დროის მონაკვეთში გავიცანი ქართველი კაცის ვაჟკაცური შემართება, მტერზე გამარჯვების რწმენა, დიდი ბრძოლისუნარიანობა და ოჯახის უსაზღვრო სიყვარული, ის ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო, და, აი, 1943 წლის 22 მარტს, დილის 6 საათზე, ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს გმირული სიკვდილით დაეცა პრახლადნაიას აეროდრომთან, სადაც მან რამოდენიმე ადამიანის სიცოცხლე იხსნა ფაშისტების მიერ ჩაწყობილი ნაღმებისაგან — იგი ოსტატურად აუვნებლებდა ნაღმებს და ჩვენს შენაერთებს გზას უხსნიდა. თვითონ კი ამ ნაღმების მსხვერპლი გახდა. გმირულად დაცემული საბჭოთა მეომრები სამხედრო წესით დავასაფლავეთ ძმათა სასაფლაოზე, რომელსაც სათუთად ვუვლით. სულით ნუ დაეცემით. იყავით ღირსეული მეუღლე იმ ადამიანისა, რომელმაც საყვარელი სამშობლოს დაცვას შესწირა თავისი ლამაზი სიცოცხლე... ჩემი მეუღლეც ფრონტზეა... როცა მშვიდობა დამყარდება, ჩამობრძანდით ჩვენთან, დაწვრილებით გაგაცნობთ თქვენი მეუღლის ფრონტულ ცხოვრებას, გიამბობთ, თუ როგორ უყვარდა სამშობლო, ოჯახი. მ. ხრაპოვა".

ნინოს სუნთქვა შეეკრა. არც უყვირია, არც უტირია, გულზე მძიმე ლოდივით რაღაც დააწვა. 30 წლის ასაკში დაჰკარგა მეგობარი, მეუღლე... რა უნდა ქნას? როგორ იცხოვროს? არა, ეს აუტანელი სიმწარე გულით უნდა ატაროს და თავისი პირმშოს აღზრდას შესწიროს ყველაფერი...

ნინომ სულ სხვა ენერგიით დაიწყო თავდაუზოგავი შრომა ჯერ ოქტომბრის რაიონის მე-12 საბავშვო ბაღში, შემდეგ კი პენსიაზე გასვლამდე — 92-ე საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობდა. არჩეული იყო მეოთხე და მეხუთე მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის მუშაობაში, რაისაბჭოს აღმასკომის ყოველდღიურ საქმიანობაში... დაჯილდოებული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით. თავდაუზოგავად შრომობდა და ამ შრომაში პოულობდა სიცოცხლის მიზანს.

გადაწყვიტა შვილი ადრე დაეოჯახებინა, რომ ოჯახში სითბო და სიხარული შემოსულიყო. გელამ გაუმართლა იმედი: 14 წლის ასაკში ველოსპორტში საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. სპორტის სიყვარულმა ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიყვანა. აქ კი კომკავშირულმა მუშაობამ გაიტაცა და ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ და სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარედ აირჩიეს... კარგი მუშაობისათვის სიგელიც დაიმსახურა. 20 წლის ჭაბუკმა ოჯახის მძიმე ტვირთი იკისრა. ოჯახში დიდმა სიყვარულმა და სითბომ დაისადგურა... მანანასა და ნინოს ისეთი რძალ-დედამთილობა ჰქონდათ, ბევრს შეშურდებოდა. ერთი ქალი და ორი ვაჟი აჟღურტულდნენ ჭერქვეშ. პატარა ნინოს, გიასა და თედოსთან ერთად მათი მამაც სწავლობს. იგი იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს და მუშაობს პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის მდივნად.

ნინოს ერთი საზრუნავი გაუჩნდა: მოენახულებინა მეუღლის საფლავი. აი, დადგა სანუკვარი დღეც. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად მან და მისი ოჯახის წევრებმა მოწვევა მიიღეს. 9 მაისს ყველანი სტანიცა „სალდატსკაიაში" იყვნენ. გულთბილი შეხვედრა, გვირგვინებითა და ყვავილებით შემკული ძმათა სასაფლაო (სადაც ხუთი ვაჟკაცი წევს, მათ შორის კი ერთი ქართველი — თედო პატარაია), უამრავი ხალხი, პარტიული ხელმძღვანელები, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები, რომლებიც მათ წმინდა საფლავთან ფიცს დებენ, იყვნენ მამათა და პაპათა ღირსეული მემკვიდრეები... ნინოს ლაპარაკი უძნელდება, ღელავს, მისი გული ბობოქრობს... ჩანთა ფრთხილად გახსნა, საქართველოდან ჩატანილი მიწა, ამოიღო, დაიჩოქა... საფლავს მიწა მოაპნია, თან ჩურჩულებს: „მოვედი, თედო, მოვედი, მოვედი შენი გელათი, რძლით და სამი შვილიშვილით, შეხედე მათ, როგორ უხარიათ შენს ახლოს ყოფნა, შეხედე..." ნინო ნელნელა დაიხარა, საფლავს ეამბორა... სამარისებური სიჩუმეა... მიტინგის მონაწილეებიც თავდახრილნი დგანან და ელოდებიან ნინოს წამოდგომას... ნინო არ ინძრევა, რაშია საქმე?.. გელამ დაიჩოქა დედის გვერდით, ხელი მოხვია და... დედის გაციებული ხელი შერჩა.

30 წლის დაგუბებულმა ბოღმამ და სევდამ თავისი ქნა, მეუღლის საფლავზე დაიფერფლა ნინოს სიყვარულით სავსე გული.

თამარ ლეჟავა,

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასე შევინარჩუნეთ კაცთმოყვარეობა

1943 წლის ივლისი იყო. ქართველ პატრიოტთა ჯგუფი ახალგაზრდა ბაქოელი ექიმებით შეივსო. ისინი უკრაინის ფრონტისაკენ გაემგზავრნენ, სადაც მრავალი დაჭრილი ჯარისკაცი შველას ითხოვდა. 22 წლის კურსდამთავრებული, მეც ამ ექიმთა შორის ვიყავი.

პირველი მწარე ტკივილი ომმა განადგურებული როსტოვის ნახვით მაგრძნობინა. არ მჯეროდა, თუ ოდესმე აქ ლამაზი ქალაქი იყო. მტერი ყირიმში შემოვიდა, ამიტომ ჩვენ ქალაქ მელიტოპოლში არ გვღებულობდნენ. ჩვენი ვაგონი ეშელონს მოხსნეს და რამოდენიმე დღე მინდორში იდგა, მელიტოპოლიდან მოშორებით. ვაგონს ერთი მხარე დაზიანებული ჰქონდა. არც სითბო იყო და არც სინათლე. იატაკზე ეყარა ცოტა თივა. ეს იყო ჩვენი ლოგინიცა და გათბობაც. სურსათიც შემოგველია და წყალიც. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს ახლო-მახლო წყალი მოეძებნათ. მე ვაგონში დავრჩი. გერმანელების თვითმფრინავმა შეამჩნია ჩვენი ვაგონი და ტყვიამფრქვევი დაგვიშინა. დაცხრილული ვაგონის კარებთან ვიდექი სასწაულით გადარჩენილი და გამოუთქმელი წუხილით ვუხმობდი გაფანტულ ამხანაგებს.

მელიტოპოლში მისვლისას ფრონტის სანიტარული სამმართველოს უფროსებმა გოგონები ჰოსპიტლებში გაგვანაწილეს. ჩვენი ჰოსპიტლის უფროსი გორელოვი, II ქირურგიული განყოფილების უფროსი, ექიმი ფეოდოროვა და მთელი მედპერსონალი ერთიანი ძალით ვიბრძოდით სასიკვდილოდ განწირულ ადამიანთა გადასარჩენად.

1945 წლის დამდეგს ჩვენი ჯარები კარპატებში გადავიდნენ. ჩვენ სანოკის ერთ მოზრდილ შენობაში მოვთავსდით. ცივი, სუსხიანი დღეებით შეგვხვდა პოლონეთი. ფრონტის ხაზი ჩვენგან სულ ახლოს იყო. ყოველ წუთს გვესმოდა არტილერიის გუგუნი. დაძაბულ მომენტებშიც კი ერთი ფიქრით ვიყავით დამუხტულნი — ეს იყო გამარჯვების მტკიცე რწმენა, რაც მეტ ძალასა და ენერგიას მატებდა ყოველ ჩვენთაგანს. ვცდილობდით გადაგვერჩინა ყოველი დაჭრილი, არ მოგვეკლო მისთვის მზრუნველობა და თბილი სიტყვა.

ასე იყო იმ ღამესაც. პატარა, ჩაბნელებულ ოთახში საოპერაციოდ ვამზადებდით დაჭრილს. ოპერაციის ჩატარებაში მეხმარებოდა ახალგაზრდა მედდა, რომელსაც ხელში სახელდახელოდ გამზადებული პატრუქი (კონსერვის ნავთიან კოლოფში ჩაშვებული დოლბანდი) ეჭირა და ნარკოზს აძლევდა ავადმყოფს. ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა, ერთხანს უხმოდ დავყურებდი 20 წლის ახალგაზრდის უსიცოცხლო კიდურს. გრძნობაზე მოსულმა ავადმყოფმა იგრძნო რაც სჭირდა. გამძვინვარებულმა მიხმო. კარებში წყნარად შევედი. პალატაში ყველა დაიძაბა. ელოდნენ რაღაც ტრაგიკულს. მაგრამ ჩვენ თვალებით ვუთხარით ერთმანეთს სათქმელი. მიხვდა დაჭრილი, რაც ელოდა ამ ოპერაციის გარეშე და ხმამაღლა აქვითინდა.

ხშირად ნერვები ღალატობდათ მძიმედ დაჭრილებს. მათი წამება ორკეცდებოდა, როცა გრძნობდნენ, რომ ველარ გამოადგებოდნენ სამშობლოს. ასეთი ფსიქიური დაძაბულობის დროს ვცდილობდი დამესახა უფრო ამაღლებული ამოცანა, რაც რწმენას დაუბრუნებდა, ცხოვრების ინტერესს გაუღვივებდა დაჭრილებს. აი, ერთი ეპიზოდიც ჰოსპიტლის ცხოვრებიდან:

პოლონეთში ყოფნის ერთი წელი შეგვისრულდა. ერთ დღეს ვხედავ, დაჭრილების პალატიდან შემორბის მედდა და მეუბნება, რომ პალატის ინვენტარს დაწვას უპირებენო. საოპერაციოდან აღელვებული შევედი პალატაში. წამოდგა ერთ-ერთი დაჭრილი. არ ვაცალე რაიმე ეთქვა, შევეკითხე:

— თქვენ იცით, რომ თქვენი ამხანაგები ომს შეეწირნენ, რათა თქვენთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ? რომ ეს სკამები და მთელი ინვენტარი სტალინგრადიდან ჩამოვიტანეთ. სამშობლო თქვენ კვლავ მიგელით, გელიან ოჯახებშიც. ახლა გვმართებს ყველაზე მეტად ერთმანეთის გატანა, რომ არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, ბოლომდე შევინარჩუნოთ კაცთმოყვარეობა. მაგალითად დავასახელე მძიმედ დაჭრილი პუზეი, რომლის პატარა ცხოვრებისეული დეტალი მიგვანიშნებს მის ჰუმანურობაზე. იმ ქარცეცხლიან დღეებში, როცა გამოზომილი იყო საკვების ოდენობა, პუზეი თავის პურს გადამწვარი ქალაქის დაუპურებლად დარჩენილ ფრინველებს უნაწილებდა. მან მომაკვდავი ბელურა გამოაცოცხლა, მერე ჩიტი ისე შეეჩვია, რომ აღარ სცილდებოდა მის საწოლს.

...ომი დამთავრდა, დავუბრუნდი მშვიდობიან ცხოვრებას, მაგრამ ქირურგობას თავი დავანებე. ამჟამად მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმ-ლაბორანტად ვმუშაობ, ენერგიის დაუზოგავად ვემსახურები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

მარგალიტა თაბუკაშვილი-ჯაფარიძე

## წაუკითხეთ პატარებს

### მურია

ჰამ, ჰამ! ჰამ, ჰამ! — უცნაურად
ეზოში ყეფს მურია.
მივიხედეთ, მოვიხედეთ,
ყველა შინაურია.
შევეკითხეთ: იქნებ გშია,
იქნებ წყალი გწყურია?
— არა, არა, ყეფას ვსწავლობ! —
გვიპასუხა მურიამ.

ავთანდილ მეგრელიშვილი

### და-ძმა

— მოდი გია, აი ნახე
მე დავხატე ჩვენი ბებო,
— მერე, გოგო, ამასა ჰგავს
ჩვენი ბებო სანაქებო?
და ნახატი თინას გიამ
აიღო და დაუხია.

### ერთი საქანელით

დელი, დელი, დელაო,
ჩემო საქანელაო,
ლალე, ლალე, ლალეო,
ჩქარა გამაქანეო.
ამისროლე ცაში,
მზესთან დავკრა ტაში!
ჩემი ცელქი თოჯინა
ძირს მიმელის მორჩილად,
აბა ერთი საქანელით
ორი ხომ ვერ გავქანდებით?

ჯანიკო გაბუნია

### ქალაქელი გია

უკან დარჩა მწვანე სოფლის
კოხტა
ოდა-სახლები.
წიწილები,
კრუხები,
ლეკვები და ძაღლები.
ერთხელ ტყეში წაიყვანეს
და მგელიც ჰყავს ნანახი.
ახლა ქალაქელი გახლავთ
ამაყია,
ამაყი.
დღეს აქაურ ცხოველებში
გიამ ზოგი ვერ იცნო:
დიდი ძაღლი
დაინახა: —
მგელი ხომ არ არისო?

ილია აროსია



ბ. ლეონიძის მუზეუმი

# პოეტის კერა პატარძეულში

...1966 წლის სუსხიანი, გვიანი შემოდგომაა. სოფლის შარაზე შავებით მოსილი ღრმად მოხუცი ქალი მოაბიჯებს, იგი პატარძეულელი ანა ოქროსცვარიძეა. პოეტის სახლი რომ ვკითხეთ, მოხუცს თვალები ცრემლით აევსო, ლეონიძიანთ სახლისაკენ გაუხვია და ნაღვლიანად წარმოთქვა.

— ეჰ, დიდი კაცი დავკარგეთ, შვილო! გოგლა სოფელში ყოველი ჩამოსვლისას დაგვიძახებდა თავის დედისტოლა ქალებს. უყვარდა ჩვენთან მუსაიფი. დედის გამომცხვარ პურებს მოიგონებდა, სათითაოდ გამოგვკითხავდა, ვის რა გვიჭირდა და დაგვასაჩუქრებდა, თან გვეტყოდა: „დედას ვერ ვეცი პატივი, თუგინდ დედისთვის მეყიდოს რამეო“.

შარშანწინ ჩამოვიდა აქ, თავის სახლში მთელი უბნის მოხუც ქალებს თავი მოგვიყარა და გვესაუბრა, დაგვარიგა: შოთას იუბილესათვის დაგვესწავლა სტროფები „ვეფხისტყაოსნიდან“, თბილისში უნდა წაგიყვანოთ იუბილეზეო. შემდეგ გვთხოვა, დედაჩემს თავზე დახურვა უყვარდა, თქვენც ყველამ დაიხურეთ თავზეო და ჩვენთან ერთად სურათი გადაიღო, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გულდაწყვეტით ამბობს მოხუცი. საუბარში ტყუშური ლობით შემოვლებულ პოეტის ეზოს ვუახლოვდებით. აივნის სვეტთან, თითქოს ჩვენს დასაძახებლად მომდგარაო, მოზრდილი ჩარჩოდან დაგვყურებს პოეტის სურათი. მდუმარებას მოუცავს ეზოს შემოგარენი. წვიმის წვეთები ცრემლებივით იღვრება ფანჯრებზე. უფერული დღის სიჩუმე „შემოდგომის“ სტრიქონებს მაგონებს, 1926 წელს რომ დაწერა პოეტმა: „რა მწუხარეა და რა ოცნებით ოქროს ფოთლები მტვერში რეული... ეს შემოდგომა თავისი ძონძებით, წვიმა-ტალახში შემოთრეული“.

ფანჯარასთან პატარა, მრგვალი მაგიდა დგას. ზედ სუფრაა გადაფარებული, რომელზეც ქართველი მწერლებია გამოხატული. მოხუცი მაგიდასთან მივიდა, სუფრას ფრთხილად შეახო ხელი და გვითხრა: გოგლას სიკვდილი რომ შევიტყეთ, სოფლის ქალებმა აქ მოვიყარეთ თავი და ამ სუფრაზე დავიტირეთო. იგი დიდ ხანს იგონებდა პოეტის ხშირ სტუმრობას პატარძეულში, იგონებდა პოეტის დედას — სოფიო გულისაშვილს, სათნოს და სიკეთით გამორჩეულ ადამიანს, ამ დიდი ოჯახის დებსა და ძმებს, მათ ბედნიერ დღეებს...

— ერთხელ, პატარძეულში ყოფნისას, როდესაც თავისი სახლის აივანზე მსხდარან პოეტი და მისი და ანა, — იხსენებს პატარძეულის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ხუროშვილი, — მათთან მოხუცი ქალი შემოსულა. დიდად გახარებია პოეტის დანახვა და უთქვამს: შვილო, მე ძუძუს გაწოვებდიო.

მეორე დღეს პოეტი თავის დას უკითხავდა ახალდაწერილ ლექსს: „დედობილი“. „ეს ლექსი ანა კიკნაძიანთ ქალმა შთამაგონაო“ — დასძინა თურმე.

— ანა კიკნაძიანთ ქალი, — განმარტავს თამარი, — შაქრო გულიაშვილის დედა იყო, შაქრო კი, პოეტის ახლო მეგობარი გახლდათ. სწორედ მას მიუძღვნა პოეტმა ში სასანიშნავი მოთხრობა „ღვინჯუა“.

მართლაც, რაოდენი სიყვარული, რა სათუთი გრძნობაა ჩაქსოვილი ამ სტრიქონებში: „გიყიდი კაბას, გიყიდი ბაღდადს, ქიშმირის შალსაც, გიშრის ზოლებით, მაგრამ სად ვპოვო, დედილავ, სადა, შენ რომ შეგფერის ოქროქსოვილი“.

— ეს იყო დაახლოებით 1948-49 წლებში, — განაგრძობს თამარ ხუროშვილი, — პოეტის სახლში მასწავლებლები — ნინო უსტიაშვილი და მარო მეიფარიანი ცხოვრობდნენ. ბატონ გოგლას მათთვის აღეწერა სახლის მორთულობა ისე, როგორც დედის სიცოცხლეში ახსოვდა. მასწავლებლებს კარგად დაეხსომებინათ მისი ნაამბობი და მართლაც იმგვარად მოერთოთ პოეტის სახლი. სოფელში ჩამოსულ პოეტს ეტირნა და აღტაცებულს მადლობა გადაეხადა ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის, ასეთი დიდი სიხარული რომ მომგვარეთო.

არასოდეს დამავიწყდება აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილის ნაამბობი, რომელიც მან გიორგი ლეონიძესთან დაკავშირებით გაიხსენა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის საიუბილეო საღამოზე:

— ამ ქვეყნად ყველაზე საყვარელი არის დედა, გაუმარჯოს ბატონ ვასოს დედას. მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო ჩემი ცხოვრებიდან: ერთხელ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლს „მოკვეთილს“ ვესწრებოდი. ახლადდაბრუნებული ვიყავი ლენინგრადიდან და ქართული სცენა და ქართული სიტყვა, ცხადია, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. სპექტაკლის მსვლელობისას ერთმა ამბავმა განმაცვიფრა, უფრო სხვაგვარად რომ ვთქვა — ამაღელვა და სულიერად გამამდიდრა. სპექტაკლში გმირს, რომელსაც ვასო გოძიაშვილი ანსახიერებდა, სწყევლიან. ამ სპექტაკლს ესწრებოდა და ყურადღებით ისმენდა ღირსეული მანდილოსანი, ვასოს დედა — ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი. რა თქმა უნდა, იგი პირველად არ გახლდათ თეატრში, მაგრამ რომ იტყვიან, დედის გული სხვა არის, იგი არასოდეს ცხრება: ყოველ წყევლაზე, რომელიც მიმართული იყო გმირის — ვასო გოძიაშვილის მიმართ, ჩუმად მესმოდა, „შენ თავს, შენ თავს!“ და ეს ხმა, დედის ხმა: „შენ თავს, შენ თავს!“ მანამდე ისმოდა, ვიდრე წყევა არ დასრულდა. რასაკვირველია, დედამ იცოდა, რომ ეს თეატრია და მის შვილს არავინ წყევლიდა, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო.

— აი, ეს სადღეგრძელო, — გვითხრა აკადემიკოსმა, — გიორგი ლეონიძემ უთარგმნა სუფრასთან მყოფ მეგობარ პოეტს — ევგენი ევტუშენკოს, რომელიც აღაფრთოვანა მისმა ნათქვამმა.

სუფრასთან კარგა ხანს გრძელდებოდა საუბარი ქართველ ქალზე, ქართველ დედაზე და სიამოვნებით ვისმენდით პოეტის ლექსებსო.

ციური ხეთერელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეჩაიეებმა წელსაც გაგვახარეს წარმატებებით. ვალდებულებით მათ 314 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფათ, ფაქტიურად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 334 ათასი ტონა ფოთოლი. ვაშა, მათ დაუღალავ მარჯვენას!

ამ გამარჯვებისათვის ყველა მეჩაიეს ეკუთვნის მადლობა. მადლობა ეკუთვნის იმ ახალგაზრდულ კომკავშირულ რგოლს, რომელიც გასულ წელს მეცხრე ხუთწლედის სამ წელიწადში შესრულებისათვის კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა. დარჩენილ ორ წელიწადში რგოლმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწია — შეასრულა მეათე ხუთწლედი. ხუთწლედში — ორი ხუთწლედი! — ასეთი იყო მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის გორის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის № 1 რგოლის წევრთა ნება. და აღსრულდა ეს ნება.

# 600 ათასი მოძრაობა დღეში

მათი დღე მზის ამოსვლისთანავე იწყება. ამობრწყინდება თუ არა, ისინიც მიიჩქარიან სოფლის ბილიკებით. სოფელი მომხიბლავია სილამაზით. სამხრეთით ბახმაროს მთის მწვერვალებია, დასავლეთის მხრიდან ოქროს ქედია გადაჭიმული, აღმოსავლეთით კი ხელისგულივით იშლება ჩოხატაური, ხიდისთავი, ერკეთი, სურები.

ამბობენ, თუ გურია არ გინახავს, საქართველოც არ გინახავსო. გურიის სოფლებში ასკანა ისეთი თვალწარმტაცია, რომ თუ ასკანა არ გინახავს, არც გურია გინახავს.

მათი სოფელი ახალი ასკანაა, რომელიც არაფრით ჩამორჩება ქალაქს. ასფალტირებული გზები, ლამაზი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, შესანიშნავი საშუალო სკოლის შენობა, მუზეუმი, მაღაზიები, ფოსტა-ტელეგრაფი, აბანო... და მთელი სიკეთე, რაც ადამიანის კეთილმოწყობილ ცხოვრებას სჭირდება, ჩაძირულა ულამაზეს მთა-გორაკებში, მარადმწვანე ხეებსა და მცენარეებში. ისინი რვანი არიან, რგოლის წევრები: ნათელა ნაცვალაძე, ციალა ნაცვალაძე, ლილი დოლიძე, ნანული დოლიძე, მანიუე ნიკოლაიშვილი, მედიკო ქურასპეტიანი, დარეჯან დარჩია, გუგული კვაჭანტირაძე. რგოლის მეცხრე წევრი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა გახლავთ, რომლის სამუშაოს ყველანი ინაწილებენ და მის ანგარიშზე კრეფენ ტონობით ფოთოლს. მათ არც ვალენტინას შვილი ალიონუშკა ავიწყდებათ, რომლის სახელზე ტონამდე ჩაი იკრიფება კომკავშირულ რგოლში. რგოლის ხელმძღვანელია ნარი ნიკოლაიშვილი, რომელმაც ესტაფეტა სოციალისტური შრომის გმირისაგან — კლავდია ნაცვალაძისაგან ჩაიბარა.

ისინი ერთმანეთს გვანან სილამაზით, შრომით, ბიოგრაფიით.

დაიბადნენ რევოლუციურ გურიაში, იქ, სადაც 1905 წელს ასკანელი მელიტონ კილურაძის სახლი იდგა და არალეგალური სტამბა მოქმედებდა, სადაც მათი მამა-პაპანი არალეგალურ გაზეთს, ფურცლებს და ბროშურებს ბეჭდავდნენ. საშუალო განათლება ასკანაში მიიღეს, მერე მეჩაიეობას მიჰყვეს ხელი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრეს, დათხოვდნენ, ოჯახები შექმნეს, ახალი სახლები აიშენეს, შვილებს ზრდიან.

და ვერავინ სჯობნით ჩაის კრეფაში. გეგმით გათვალისწინებული 6, 7, 8 ტონა ფოთლის ნაცვლად თითოეული წელიწადში 9, 10, 11, 12 ტონას კრეფს. ამიტომ მათთვის მე-11 შრომითი ხუთწლედი დაიწყო, ამიტომაც დღეს 1980 წლით ცხოვრობენ.

მათი ენერგია განუზომელია, განუზომელია, თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთ კილოგრამ ფოთოლში ორიათას ხუთასი პირველი ხარისხის დუყია, რომ ბრიგადის თვითეული წევრი დღეში 150-200 კილოგრამ ფოთოლს კრეფს და 600 ათას მოძრაობას აკეთებს.

მუშაობენ ყოველგვარ ამინდში, მზეშიც და წვიმაშიც. და მარტო ფოთოლს როდი კრეფენ! წლის განმავლობაში პლანტაციას უვლიან, ზრუნავენ, რომ ყოველი ბუჩქი იყოს წესრიგში. ჩახვნა-ჩაბარვა, სარეველა ბალახებისაგან ბუჩქების გაწმენდა, ნიადაგში სუპერფოსფატის, კალიუმის მარილის, ამონიუმის გვარჯილის შეტანა და მწკრივებს შორის კულტივაცია მათი საქმეა.

სოფელს დიდი ტრადიციები აქვს. მას ჰყავს სახელოვანი მეჩაიეები: ოლღა ნაცვალაძე, ელენე დოლიძე, მარო ნემსაძე, თეკლე ჩავლეიშვილი, ნინო შეწირული, ალექსანდრა შეწირული... კომკავშირელები მათს შრომით ტრადიციებზე არიან აღზრდილნი.

ახალგაზრდებმა იციან, რომ მოსავლის გადიდებისათვის, მისი მაღალი ხარისხისათვის საჭიროა კრეფის წესების დაცვა, აპრილ-მაისში ხუთ და ოთხფოთლიან ყლორტებზე კრეფენ ჩაის ფოთოლს. ასევე კრეფენ ჩაის სამ და ორკვირტიან დუყებზე. პირველი კრეფის დროს ბუჩქებზე ორი ნორმალური ფოთოლი უნდა დარჩეს, მეორე და მესამე კრეფის დროს ფოთოლი ფრთხილად უნდა მოიკრიფოს, რათა კვირტები არ დაზიანდეს და მოსავალი არ შემცირდეს. თითოეულ ბუჩქს, ყლორტს და კვირტს ბავშვივით უვლიან.

წელს მათი მიზანი იყო მხოლოდ მაღალი ხარისხის ჩაისათვის ბრძოლა. ეს შეასრულეს.

გაისად, თავიანთ მეთერთმეტე ხუთწლედში კვლავ მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას დაიწყებენ. გამარჯვება უთუოდ მათ მხარეზე იქნება, ვინაიდან ყველანი შრომობენ ერთი ფიქრით, ცხოვრობენ ერთი მისწრაფებით.

ლია კაკაბაძე

ანტონია პოცცი (1912-1938) ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი პოეტი ქალია. ცხრა წლიდან მოკიდებული წერდა თურმე ლექსებს. მაგრამ წერდა მალულად. მხოლოდ მისი ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ მიუტანეს შინაურებმა მისი ლექსების რვეული თანამედროვე პოეტსა და გამომცემელს — ეუჯე ნიო მონტალეს, რომელმაც წიგნში წამძღვარებულ წინასიტყვაობაში უდიდესი შეფასება მისცა პოცცის პოეზიას.

## წონასწორობა

აჰა, დაისი უჩუმრად მოდის,
დაისი ერთობ მეწამულ ფერის,
შავ-თეთრის ჭიდილს, — დღე-ღამის
ჭიდილს,
ის ასე უხმოდ უცქერის ოდით,
უცქერის თვითონ სიბნელის მფენი...

და როცა ბინდი სამყაროს სერავს,
წყაროთა ჩუხჩუხს, თუ შრიალს ხეთა,
მდინარის ხმაურს თუ ფრინველთ ენას,
ამ დროს გაიგებ ყველაზე უკეთ,
ამ დროს შეიგრძნობ ყველაზე მეტად.
ამ დროს გიამბობს ვალლათა ჩქერი,
სამყარო უკეთ თუ როდის მღერის,
რომ ქვეყნად სწორედ ამ დროს ისპობა,
ყოველი სახის ჩაგვრა, მონობა,
და ამ დროს, ამ დროს მყარდება ქვეყნად,
სიკვდილ-სიცოცხლის, შავის და თეთრის,
დღისა და ღამის წონასწორობა...

და მე ფანჯრიდან ვუცქერი ისევ,
ბინდ-ბუნდში მყოფელ მიწას და ზეცას,
და ყველაფერი ეს მერამდენედ,
განმეორდება უცვლელად დღესაც,
ვფიქრობ და, დიახ, — მპასუხობ ალვა,
დიახ, ჩურჩულებს გოგები იფნის...
მარადული ამაზე ითქმის...

მაგრამ მდინარე, ლაღი მდინარე,
რომელსაც სუფთა ჰაერი მოაქვს,
იას, ენძელას პირმომცინარეს,
თუ ნარის ეკალს ერთნაირ კვებავს,
დიახ, ერთნაირ ახარებს ყველას...

და ამ ფიქრებში თავს მათენდება,
ვხედავ ცისკარიც ანათებს შორით,
სულში ნაღველიც უცებ ნელდება
და ვეკითხები მიწას და ზეცას:
რატომ არსებობს ამქვეყნად ორივ??
და მე მპასუხობს ორივე ერთად;
წონასწორობა. წონასწორობა,
აის-დაისი, ცისკარი — ბინდი,
შენი პლანეტის ვაქციეთ ღმერთად,
ორივეს ჰქვია, ორივეს ერთად,
ყოფნა-არყოფნის მუდმივი ხიდი,
ხიდი, რომელზეც სიცოცხლე მიდის...

იტალიურიდან თარგმნა
ნაზი ჟღენტი

## ჩვენი ინტერვიუ

# ყველას საზრუნავი



გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა როლი სახალხო განათლების სისტემაში და, საერთოდ, ქვეყნის ცხოვრებაში, განუზომელია.

განუზომელია, რადგან როგორი ხასიათი და ჩვევებიც ჩამოუყალიბდება ბავშვს ხუთ წლამდე, ძირითადად იგივე დარჩება უფროს ასაკშიც. აი, რატომაა აუცილებელი რომ ბავშვის აღზრდას სკოლამდელ ასაკშივე მიეცეს სწორი მიმართულება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ როგორ ოჯახშიც არ უნდა აღიზრდოს სკოლამდელი ასაკის ბავშვი. იგი თავისი ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების მხრივ მაინც ჩამორჩება საბავშვო ბაღში აღზრდილს. და დღევანდელ ეტაპზე, როცა სკოლის ცხოვრებაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა, როცა მნიშვნელოვნად გართულდა სასწავლო პროგრამები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა წინაშე ახალი ამოცანები წამოიჭრა.

როგორ პასუხობს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი ამ ახალ მოთხოვნებს? როგორ ამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც მასზე ამყარებდა საბჭოთა ხელისუფლება ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე? ესეიგი, ეხმარება თუ არა მშრომელ ქალს შვილების მოვლა-აღზრდაში, უზრუნველყოფს მის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას, მისი ნიჭისა და უნარის გამოვლენას, მის ჩაბმას საერთო სახალხო შრომაში?

აი, რა აინტერესებდა რედაქციას, როცა ჩვენი მუშაკი ეწვია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსს **გუგული აბდუშელიშვილს** და მისცა რამდენიმე შეკითხვა.

**— ქალბატონო გუგული, გთხოვთ, მოკლედ გვიამბოთ, რა ცვლილებები მოხდა სკოლამდელი აღზრდის სისტემაში ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე.**

— სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — გრანდიოზული. ჯერ ერთი, ამ დაწესებულებათა ზრდის მაჩვენებლების მიხედვით. მოგეხსენებათ, რომ 1921 წელს ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ 5 საბავშვო ბაღი იყო 250-მდე ბავშვით, ამჟამად კი 1574 სკოლამდელი დაწესებულებაა, რომლებიც 125 ათას ბავშვს ემსახურება. ესე იგი, გამოდის რომ მათი ქსელი 315-ჯერ გაიზარდა. ჩვენს რესპუბლიკაში არ მოიპოვება ქალაქი და რაიონული ცენტრი, საბავშვო ბაღის ტიპიური პროექტით აგებული ნათელი შენობა რომ არ ამშვენებდეს. მარტო უკანასკნელი ხუთწლედის ოთხ წელიწადში სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი 159-ით გაიზარდა. ამ პერიოდში მხოლოდ განათლების სამინისტროს ხაზით, ახალი ტიპიური პროექტით აშენდა 47 ბაგა-ბაღი 8.290 ადგილით.

**— კიდევ ვისი სახსრებით წარმოებს ბაგა-ბაღების მშენებლობა?**

— ცენტრალურ კაპიტალურ დაბანდებათა გარდა, ეს მშენებლობები წარმოებს აგრეთვე მსხვილი წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საინიციატივო სახსრების ხარჯზე.

**— თქვენს მიერ მოყვანილი ციფრები ნამდვილად შთამბეჭდავია, მაგრამ ხომ ფაქტია — საბავშვო ბაღში ბავშვის მოწყობა ჯერაც პრობლემაა. რედაქციას ხშირად მომართავენ მშობლები თხოვნით, რომ დავეხმაროთ ბავშვის ბაღში მოწყობაში.**

— დიახ, სამწუხაროდ ასეა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი და ბავშვთა კონტიგენტი, იგი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. ასე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მხოლოდ 23 პროცენტია ჩაბმული. გამოდის, რომ ყოველი ასი ბავშვიდან 77 ბავშვი ბაგა-ბაღის გარეთაა დარჩენილი, სულ რესპუბლიკაში — 478 ათასამდე ბავშვი და მისი მშობელი მოკლებულია ამ სიკეთეს, მათ შორის თბილისში — 55 ათასი, რუსთავში — 10.630, ქუთაისში — 6.048 და ასე შემდეგ.

სსრკ „სახმშენის“ ნორმების მიხედვით, ქალაქის 1.000 სულ მოსახლეზე გათვალისწინებულია ბაგა-ბაღების შენობების აგება 90 ბავშვადგილზე. მილიონიან დედაქალაქში სკოლამდელი დაწესებულებები დღეისათვის 90 ათას ბავშვადგილზე უნდა იყოს აგებული, ფაქტიურად კი 16.500 ბავშვადგილზე 23 ათასი ბავშვია ჩარიცხული. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბა[illegible] ბავშვების ჩარიცხვაზე. განათლების სამინისტრომ გაითვალისწინა რა მოსახლეობის მოთხოვნილება ბაგა-ბაღებზე, თბილისში 21 საბავშვო ბაღი გადააკეთა ბაგა-ბაღად, მაგრამ ეს მდგომარეობიდან გამოსავალი როდია!

აღნიშნული მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის არა საკმაო რაოდენობის დაგეგმარებით, მათი დადგენილ ვადებში დაუმთავრებლობით, დისლოკაციის დარღვევით და სხვა. ზოგჯერ სკოლამდელი დაწესებულებები ისეთ ადგილებში შენდება, სადაც მათზე მოთხოვნილება არაა, ზოგჯერ რამდენიმე ბაგა-ბაღი ერთმანეთის ახლოს შენდება და არ იტვირთება ბავშვებით. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბაგა-ბაღებზე ახლად მშენებარე რაიონებში. თბილისში, ვაკისა და საბურთალოს დასახლებაში ისეთი მწვავე ნაკლებობაა საბავშვო ბაღებისა, რომ თითოეულ საამღზრდელო ჯგუფში, ნაცვლად 25-ისა, 40-50 ბავშვია. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა სწავლა-აღზრდაზე, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე. სწორედ ამის გამო, ბევრგან ბავშვების დაძინებაც ვერ ხერხდება.

**—როგორ სრულდება მთავრობის დადგენილება ახლადმშენებარე საცხოვრებელი სახლების პირველი სართულების საბავშვო ბაღისათვის გადაცემის შესახებ?**

— შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ სრულდება. რა თქმა უნდა, ცალკე აშენებული ტიპიური ბაგა-ბაღი გაცილებით მოხერხებული და კომფორტაბელურია ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის, მაგრამ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დიდად შეუწყობდა ხელს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მჭიდროდ დასახლებულ უბნებში მაინც.

**— როგორც ვხედავთ, მდგომარეობა ძალზე მძიმეა. როგორია ამჟამად ამ დაწესებულებათა მშენებლობის ტემპი?**

— სამწუხაროდ, მეტად არასახარბიელო. მშენებელი ორგანიზაციები წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის გეგმებს. 1974 წელს ეს გეგმა მხოლოდ 82 პროცენტით შესრულდა. 1971–74 წლებში მშენებლების მიზეზით მოსახლეობამ 3.300 ბავშვადგილი ვერ მიიღო. უკეთესი მდგომარეობა არც მიმდინარე წელსაა. რვა თვის განმავლობაში მშენებლობის სამინისტროს მიერ აშენდა 860 ბავშვადგილი (წლიური გეგმა 2.800 ადგილს ითვალისწინებს), სოფლის მშენებლობის სამინისტროს მიერ კი — 115 ადგილი (წლიური 1.050 უნდა იყოს).

**— შეგიძლიათ ამის მიზეზის დასახელება?**

— მიზეზი სავსებით ნათელია: მშენებელი ორგანიზაციების უპასუხისმგებლობა და ადგილობრივი ხელმძღვანელების მიერ ამ საქმის მნიშვნელობის სათანადო შეუფასებლობა.

**— ახლა ორიოდე სიტყვას გთხოვთ სოფლის სკოლამდელ დაწესებულებათა შესახებ. უზრუნველყოფილია თუ არა ჩვენი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კოლმეურნე და მუშა ქალები საბავშვო ბაღებით. რა დონეზეა სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობა ამ ბაღებში?**

— სადაც არ უნდა იყოს ბავშვი, ქალაქად თუ სოფლად, მას სისტემატური, თანმიმდევრული, ყოველმხრივი აღზრდა ესაჭიროება. სამწუხაროდ, ზოგიერთი კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი სათანადოდ ვერ აფასებს სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას. ზოგგან, მართალია, საბავშვო ბაღებს ხსნიან, ოღონდ —სეზონურს (რესპუბლიკაში ყოველწლიურად 200-მდე სეზონური ბაღი მუშაობს), როგორც ამას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მოითხოვს — რამდენიმე თვით. ასეთ ბაღებში კი ფაქტიურად მხოლოდ ბავშვთა მეთვალყურეობის საკითხია გადაწყვეტილი, ხოლო მათი გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდა, სკოლისათვის მომზადება თითქმის უგულვებელყოფილია. რესპუბლიკის 1031 კოლმეურნეობიდან მხოლოდ ცხრას აქვს მუდმივმოქმედი საბავშვო ბაღი. აქედან 6 ქობულეთის რაიონშია. დანარჩენი სამი — აფხაზეთის ასსრ-ში, წითელწყაროსა და მახარაძეში. ერთი სიტყვით, სოფლად სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების მხოლოდ 10 პროცენტია ჩაბმული.

**— ესეიგი, 100 ბავშვიდან 90 ბაღის გარეთაა დარჩენილი?**

— დიახ.

**— ვის ევალება სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა სოფლად?**

— სოფლის მშენებლობის სამინისტროს. მაგრამ ის ძალზე ნელი ტემპით აწარმოებს მშენებლობას. მაგალითად, 1973 წელს 1.275 ბავშვადგილის ნაცვლად, სკოლამდელი დაწესებულება აშენდა 425 ბავშვზე. 1974 წელს 1.140 ადგილის ნაცვლად ჩაბარდა — 440; უკეთესი მდგომარეობა არც წელს ჩანს: პირველი 8 თვის განმავლობაში ჯერჯერობით მხოლოდ 115 ბავშვადგილი შეგვემატა, წლიური გეგმა კი 1050 ბავშვადგილს ითვალისწინებს.

**— როგორც ირკვევა, ქალაქად თუ სოფლად სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისია. ახლა, გთხოვთ ჩვენს მკითხველებს მოუთხროთ, როგორ მუშაობენ ეს დაწესებულებები? სკოლაში სწავლა ხომ ბავშვისაგან შრომისუნარიანობას, ფიზიკურ ძლიერებას, ჯანმრთელობას, გონებრივი ძალების მობილიზაციას მოითხოვს. რა შესაძლებლობები გააჩნია საბავშვო ბაღს სკოლისათვის ბავშვის მოსამზადებლად?**

— ეს მომზადება ხორციელდება სპეციალური მეცადინეობების, თამაშის, ვარჯიშის, შრომითი საქმიანობის დროს... რესპუბლიკის ბევრი სკოლამდელი დაწესებულება ამ შესაძლებლობებს უნარიანად იყენებს და გარკვეულ შედეგებსაც აღწევს.

საბავშვო ბაღში მთავარი ფიგურა იყო და არის აღმზრდელი. მის ცოდნაზე, ოსტატობაზე, პროფესიის სიყვარულზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი პატარების აღზრდისა და სწავლების საქმე. რესპუბლიკაში ბევრი გვყავს თავისი საქმის ჩინებული მცოდნე, ბავშვების მოყვარული, მაღალი ზნეობისა და კულტურის მქონე აღმზრდელი, თუმცა, სამწუხაროდ მათ გვერდით ჯერ კიდევ არიან გაუნათლებელი, დაბალი კულტურისა და ინტელექტის მქონე პირები, რაც, პირველყოვლისა, კადრების სწორად შერჩევისადმი ფორმალური მიდგომის შედეგია.

**— უფრო რომ დავაკონკრეტოთ?**

— ზოგიერთი განათლების განყოფილება, სხვადასხვა უწყებისა და სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელი, საბავშვო ბაღის აღმზრდელებად და გამგეებად ნიშნავს არა სპეციალისტებს, არამედ ვაჭრობის დარგის მუშაკებს, გეოგრაფებს, ბიოლოგებს... ეს საგრძნობლად აქვეითებს სწავლა-აღზრდის ხარისხს. ზოგიერთი ხელმძღვანელი კადრის დანიშვნის საკითხს არ უთანხმებს განათლების განყოფილებას. ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკაში შეუფერებელი კადრების რიცხვი იზრდება, ნაცვლად შემცირებისა. 1975 წლის 1 იანვრის მონაცემებით 9.481 სკოლამდელი მუშაკიდან 2.042-ს (ანუ ყოველ მეოთხეს), არა აქვს სპეციალური განათლება, მაშინ, როდესაც სპეციალური უმაღლესი და გოგებაშვილის სახელობის პედსასწავლებლის კურსდამთავრებულები წლების განმავლობაში სამუშაოს ელოდებიან. ასეთი ფაქტები იყო გარდაბნის, ახალციხის, წალკისა და სხვა რაიონებში.

ბავშვის სწორი აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბავშვო ბაღისა და ოჯახის ურთიერთკავშირს, აღმზრდელისა და მშობლის პირად მაგალითს. როგორც ცნობილია, სკოლამდელ ასაკში ეყრება საფუძველი პირველ წარმოდგენას ზნეობაზე. აღმზრდელისა და მშობლის ზემოქმედებითა და მათს მაგალითზე, ბავშვებთან სისტემატური მუშაობით ინერგება და მტკიცდება ისეთი ზნეობრივი თვისებები, როგორიცაა სიკეთე, პატიოსნება, სიმართლე, უბრალოება, მეგობრობა, ამხანაგობა. საკმარისი არაა ბავშვს ურჩიო იყოს წესიერი. ზრდილი და პატიოსანი — შენ თვითონ უნდა გაგაჩნდეს ეს თვისებები, საკუთარი ქცევით აჩვენო და გაარკვიო იგი კარგისა და ცუდის რაობაში.

სამწუხაროდ, სკოლამდელ დაწესებულებათა ზოგიერთი პედაგოგი, გამგე, ტექნიკური პერსონალი არ იძლევიან ურთიერთშორის თავაზიანი, გულისხმიერი, კოლეგიალური დამოკიდებულების ნიმუშს.

**— ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის დღის ძილს, სწორ კვებას, პირადი ჰიგიენის, დღის რეჟიმის დაცვას, მათში შრომითი ჩვევების ჩანერგვას. ყველაფერი ეს ერთად აღებული, არა მარტო ჯანმრთელობის საწინდარი, არამედ ბავშვის სკოლისათვის მომზადების აუცილებელი პირობაცაა. სკოლამდელ დაწესებულებებში ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა?**

— ამას ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ, ნიადაგ ვაკონტროლებთ და მკაცრადაც ვსჯით, როცა ბაგა-ბაღებში ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არ ტარდება ბავშვთა საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება, როცა დღე არ აძინებენ ბავშვებს. ზოგიერთი ბაღი, მაგალითად, რეგულარულად არ მარაგდება ისეთი აუცილებელი პროდუქტებით, როგორიცაა რძის ნაწარმი, ხორცი, ბოსტნეული, ხილი და სხვა. ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ტონობით აბარებს სახელმწიფოს ხორცს, ხილს, ბოსტნეულს და მის საბავშვო ბაღს კი ეს ყველაფერი აკლია.

**— გაკმაყოფილებთ თუ არა თანამედროვე სკოლამდელ დაწესებულებათა ტიპიური პროექტები?**

— ეს პროექტები სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს ვეღარ პასუხობენ. ბავშვთა კონტიგენტის სიდიდის გამო, ბევრ საბავშვო ბაღს არა აქვს საძილე ოთახები და სხვა სათავსოები. ბავშვებს ერთ ოთახში უხდებათ კვება, თამაში, მეცადინეობა. ვერა და ვერ მოხერხდა ბაგა-ბაღის ქართული პროექტების დამუშავება რესპუბლიკის პირობებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, როგორც ესა აქვთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს...

* * *

არასოდეს, ჭირსა თუ ლხინში, ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს ბავშვებზე ზრუნვა არ შეუნელებია. სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის ინტენსიური ზრდა, მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება მშენებლების, პედაგოგების, მთელი ჩვენი საზოგადოების საქმე და საზრუნავია...

რა წვლილის შეტანა შეგვიძლია ქალებს, ჩვენთვის ამ ნამდვილად სისხლხორცეული საქმის წარმატებით მოგვარებაში? ამაზე ვიფიქრეთ რედაქციაში და გადავწყვიტეთ:

მოვუხმოთ რესპუბლიკის ყველა დიდი უწყების, საწარმო-დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის ქალთა საბჭოებს — საგუშაგოები ჩამოაყალიბონ თავიანთი უწყების ბაგა-ბაღების მშენებლობებზე, დააწესონ კონტროლი იმაზე, ითვისებენ თუ არა ყოველწლიურად ამ მშენებლობისათვის გამოყოფილ თანხებს, სრულდება თუ არა მშენებლობის გეგმები კვარტალურად და ყველა საგანგაშო შემთხვევა აცნობონ ჩვენს რედაქციას.

ჩვენც, ჩვენდა თავად, ჟურნალში შემოგვაქვს ახალი რუბრიკა — „საქართველოს ქალის" საგუშაგო ბაგა-ბაღების მშენებლობებზე" და ამ რუბრიკით სისტემატურად გამოვაქვეყნებთ ცნობებს იმის შესახებ, თუ სად, როგორ ზრუნავს ადგილობრივი ხელმძღვანელობა მშრომელ ქალებზე, ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეზე.

ინტერვიუ აიღო ნანული ბარათაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დიდება დედებს

ქალი, ქალია,
მაგრამ ქალმა გატანა იცის.
ის ხან ხმალია,
ხან ყვავილი მშობელი მიწის.
სინაზეს მისას
მუხლს უდრეკავს ვარდი და ია,
სიცოცხლე რადგან
სულ პირველად მისგან გვიგრძვნია.
ის ხან მებრძოლი,
ხან — დაზგასთან, ხან კი ყანაში,
მე ვენაცვალე
ქალს შვილზე თქმულ იავნანაში.
ის მუსიკაა,
ანდა მუზა მხატვრის, პოეტის,
ქალი — მშვიდობის ნათელ შუქად
მოჩანს ყოველთვის.
ის გვირგვინია
დიდების და პატიოსნების,
ასეთ ქალებზე ღირს დაიწვას
გული ოცნებით.
კურთხეულ იყოს
დედისა და დის ერთგულება.
მისანდო უფრო
სხვა არავინ არ გვეგულება.
ელავს, კიაფობს,
ვით ყაყაჩო ჩვენის ყანაში,
მე ვენაცვალე
ქალს შვილზე თქმულ იავნანაში!

დანიელ ხახიაშვილი

## იუმორი

### „ფილოსოფიზმები"

ცოლი მტრედი არაა, გაუშვებ — აღარ დაგიბრუნდება.

ქალი ნაყინს გავს, ოდნავ მიეფერე და დადნება.

მიტოვებული ქმრის ნუ გეშინია, — გეშინოდეს მომავალი ქმრისა.

ქალი პაიკივითაა: — ყველას უნდა დედოფალი გახდეს.

ქალებო, გაუფრთხილდით მამაკაცებს, ნუ მისცემთ ხელისგულზე ტარების უფლებას!

არ გიყვარდეს ლამაზი ქალი — დანაშაულია, გიყვარდეს — სასჯელია.

ქალებს ყველა პრივილეგია აქვთ: გვართან ერთად ქმრისაგან ითვისებენ ყველაფერს.

ა. ეინგორინი



# ჩვენი სახალხო კლუბი

### მორალის თემაზე

# მადლობის გრძნობის შესახებ

ავლიპი ზურაბაშვილი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიისა
და საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ჩემს ბავშვობაში, ურმის ხის ღერძის რკინის ღერძით შეცვლა დიდ ტექნიკურ მიღწევად ითვლებოდა. მახსოვს ასეთი საუბარიც: ამბობენ, სოფლიდან ქალაქამდე (ე. ი. თბილისამდე) რკინიგზა უნდა გაიყვანონ და ამდენი რკინა სად არისო. სიამოვნებისა და პატრიოტული სიამაყის გრძნობით ვიგონებ, ჩემს მშობლიურ ბოდბისხევში (სიღნაღის რაიონი) გლეხის მარჯვენა მინდორში როგორ ატრიალებდა ნამგალსა და ცელს. დღევანდელი თაობისათვის ისეთ სიტყვათა შინაარსი, როგორიცაა, კევრი, ულო, ძნა, ტაბიკი, აპეური, ჯამბარა და სხვა მხოლოდ სალექსიკონო მასალას შეადგენს.

საზღაპროა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ადამიანმა „დაიმორჩილა" მთვარე, ჩვენი პლანეტა ნაბიჯს ამზადებს მარსისაკენ, „ზღაპრული თვალით" ეცნობა და აგვიწერს ე. წ. გალაქტიკათა სისტემებს და ა. შ.

ხელოვნურმა —ელექტრონულმა „ტვინმა", ხელოვნურმა „გონიერებამ", ანუ „ინტელექტმა" თითქოს დაჯაბნა ადამიანის შესაძლებლობანი, უფრო მეტიც, კიბერნეტიკამ ლამის არის წააქციოს ადამიანი — აზროვნების ფალავანი შენ უკვე აღარ ხარ, ერთ წამში მე შემიძლია მილიონობით ურთულესი მათემატიკური გამოთვლები ვაწარმოო, გადავწყვიტო ამოცანები, შენ კი ამის ძალა და თავი სადა გაქვსო. ცხადია, ერთი შეხედვითაა ასეთი ვითარება, არსებითად, კიბერნეტიკა იქნება ეს თუ ტექნიკის რომელიც გნებავთ მიღწევა, იგი ადამიანის შემოქმედების ნაყოფი, მისი გონების, აზრისა და ძალის, მისი პიროვნების სწრაფვის უშუალო შედეგია.

ადამიანის ტვინის შესაძლებლობები, მისი სულიერი ყოფიერების სიმდიდრე უსაზღვროა; მისი შინაარსის, მნიშვნელობის, მოწოდებისა და დანიშნულების დამარცხება-დაჯაბნა არავითარ ტექნიკას არ ძალუძს.

ვერ ვიტყვით, რომ ბიოლოგიასა და მედიცინას დღეს დროის, ეპოქის შესატყვისი თეორიული და პრაქტიკული გამარჯვება არ მოეპოვებოდეს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ თავის ტვინისა და მის დაავადებათა ეფექტური მკურნალობა.

დღეს, სახელდობრ, ტექნიკის ტრიუმფის დროს, საჭიროდ მიმაჩნია მთელი ჩემი შეგნებით, პასუხისმგებლობითა და გულწრფელობით განვაცხადო, რომ უეჭველად დიდი მიღწევები აქვს ფსიქოლოგიასაც და პათოფსიქოლოგიასაც. ე. ი. იმ დარგს, რომლის საგანიცაა ადამიანის სულიერი სამყაროს შინაარსი ნორმულ და ავადმყოფურ ვითარებაში.

ადამიანს თავისი წარმოშობის დღიდან ჰქონდა და აქვს პიროვნული თვისებები: გონიერება, სულიერი სიწმინდე, სინდისი, ზნეობრივი სისპეტაკე.

პიროვნების ფსიქოლოგიის, ე. ი. პერსონოლოგიის შესწავლა დღეს დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

თუ ჯერ კიდევ ვერაა აღმოჩენილი ფიზიკური სამყაროს ყველაზე უმცირესი ნაწილაკი, რისთვისაც უდიდესი შემოქმედებითი ბრძოლა წარმოებს, სულიერ სამყაროში ასეთი „ფსიქიკური ნაწილაკი" უკვე არსებობს, ესაა „მორალური ბირთვაკი", რომლის გარშემოც უნდა ტრიალებდეს ჭეშმარიტი ადამიანის სურვილები, გადაწყვეტილებები, მისწრაფებები, ქცევა და მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი გახლავთ როგორც გონიერი, ასევე მორალური არსება. დღეს მორალური აღზრდის საკითხი ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი პრობლემაა მთელ მსოფლიოში.

ჩვენს პრესაში უეჭველად საგულისხმო წერილები ქვეყნდება ხსენებული საკითხების თაობაზე, ესენია: მოვალეობა, ნდობა, ზოგადად კაცურკაცობა, კაცთმოყვარეობა, კაცთმზრუნველობა, პატიოსნება, სინდისიერი გარჯა, პატიოსანი შრომა, მართალი კალამი, მორალური ოჯახი, მშობლებისა და შვილების ურთიერთპატივისცემა და სიყვარული.

დიდმნიშვნელოვანი წერილი იყო გამოქვეყნებული ამას წინათ გაზეთ „პრავდაში" მომთხოვნელობის შესახებ. სტატიაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მომთხოვნელობა და მოვალეობის შეგნება, შრომის ბარაქიანი და დოვლათიანი ნაყოფის საწინდარია.

ქცევისა და მოქმედების ყოველ ეტაპზე საკუთარი თავისადმი მტკიცე მომთხოვნელობა ყველა ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებელი პირობაა.

მინდა შევჩერდე მადლობის გრძნობის მნიშვნელობაზე, როგორც ერთ-ერთ მთავარ პერსონალურ კატეგორიაზე. მადლობის სიტყვა მარტო ზრდილობისა და პატივისცემის ნიშანი როდია, იგი ამტკიცებს და ამრავლებს საქმიან ურთიერთობას, მადლობის გრძნობას სოციალურ ურთიერთობაში აქვს პატრიოტული მიზანდასახულობის ხასიათი. ამის ბრწყინვალე მაგალითია სოციალისტური შეჯიბრების შედეგად შრომითი გამარჯვებები.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივ ჯილდოს აქვს ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და არავითარ შემთხვევაში იგი მხოლოდ პატივისცემა და გამხნევება არ არის; ჯილდო რომ იყოს მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია, დაფასების ნიშანი (სიმბოლო), მაშინ იგი მოკლებული იქნებოდა საზოგადოებრივი წამოწყების პატრიოტულ შინაარსს. დიდი ილიას აზრით, რაც უფრო მაღალია შრომის აღიარება და ჯილდო, სიხარულს მით უფრო თან ერთვის პასუხისმგებლობის უდიდესი განცდა — ვაი, როგორ გავამართლებ დიდ ნდობასო. ამიტომ ყოველგვარი საზოგადოებრივი ჯილდო, მითუმეტეს გარჯასთან დაკავშირებული, არის რეალური მოწოდება, დავძაბოთ ჩვენი შესაძლებლობანი და უფრო მეტი შეგნებითა და ენთუზიაზმით ვიშრომოთ სახალხო საქმისათვის. ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა, გამუდმებით ვუსმინოთ სინდისის შინაგან ხმას, შევინახოთ და გავუფრთხილდეთ მადლობის გრძნობას მშობლებისა და მასწავლებლებისადმი. დედ-მამის სიყვარული, ზრუნვა-პატივისცემა ოჯახის სიმტკიცის, ბედნიერებისა და პერსპექტიული მომავლის უტყუარი პირობაა; მამა-პაპათა საფლავის დაფიცების ძალა ადუღაბებს ერის ეროვნულ პოტენციას, ამრავლებს მის პატრიოტულ თვითშეგნებას.

მშობლებისადმი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა შვილების ხასიათს განამტკიცებს, ანიჭებს მათ ფიზიკურ და მორალურ სიჯანსაღეს, აძლევს ცხოვრების სწორ მიმართულებას.

ზრუნვა და ფიქრი დედ-მამაზე განსაკუთრებით მაშინაა საჭირო, როცა ისინი ხანში შედიან. მოხუცებული მშობლები ზედმეტად მგრძნობიარენი არიან, სულ მცირე უყურადღებობა მათ აწუხებთ; მარად უნდა გვახსოვდეს გამზრდელთა ამაგი; დედის გატეხილი ღამეები, ოჯახის უფროსთა (პაპისა და ბებიის) მუდმივი წუხილი — ვაი, შვილებს რაიმე არ დაემართოთო.

მამიჩემისაგან ხშირად მსმენია ცნობილი ანდაზა: შვილმა ხელისგულზე ერბოკვერცხი რომ მოიწვას, მშობლების ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო. მშობლები ასეთ მსხვერპლს არც მოითხოვენ, ყურადღებითა და მზრუნველობით კმაყოფილდებიან, და შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებითა და სიხარულით არიან აღვსილნი. მშობლებისათვის იმაზე მეტი უბედურება და ვაება არ არის რა, როცა შვილი უღირსია, ამრუდებს სოციალურად სასარგებლო გზას. მე ისეთი შემთხვევებიც ვიცი, როცა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ურთიერთს სიყვარულს ეფიცებიან, მაგრამ იქვე დასძენენ: შენ უსაზღვროდ მიყვარხარ, მაგრამ შენი მშობლები ვერ ამიტანია, ისინი თვალით არ დამანახოო. მეტი უხეშობა და სისაძაგლე წარმოუდგენელია! დავუშვათ, მშობლებს მართლაც მძიმე ხასიათი აქვთ, მაგრამ ისინი ხომ უფროსები არიან და ახალგაზრდების მხრივ გარკვეულ მოთმენასა და პატივისცემას საჭიროებენ. ზიზღი რა საკადრისია?! ოჯახის მომავლისათვის ყოველგვარი პროტესტი და ულტიმატუმი დაუშვებელია, თორემ თუ ასე არა, გაიბზარება, დაინგრევა იგი. ღრმა მოხუცი გახლავართ, მაგრამ დღემდე ვერ მომიშორებია ფიქრი და წუხილი იმისა, რომ დედ-მამას ჯეროვნად ვერ ვასიამოვნე. შვილის ამგვარი წუხილი უეჭველად დადებითი გრძნობაა, და მისი არსებობა კი ოჯახის ამამაღლებელი და გამამტკიცებელი ფაქტორია.

შვილთა მადლობა ისაა, რომ მშობლებს არ ვაწყენინოთ, არც სიტყვით და არც საქმით.

მინდა გავიხსენო ორი ისეთი შემთხვევა, როცა მადლობის ნაცვლად მოხუცებულ მამას, სამაგალითო ადამიანსა და ღირსეულ მოქალაქეს ვაწყენინე. ეს დღემდე მაწუხებს და ვცდილობ კეთილი საქმით გამოვისყიდო ახალგაზრდული შეცდომანი.

მე მაშინ სტუდენტი ვიყავი, ერთ ზაფხულს ალაზნის ველზე, სათივეში გახლდით; მე მაღლა ვიდექი და სამთითათი თივას ენერგიულად და სწრაფად ვასწორებდი. ჩემი, უკვე მოხუცი, საყვარელი მამა, დაბლიდან თალმებს ხაჩეკლით მაწვდიდა, მაგრამ ცხადია, სისუსტის გამო აყოვნებდა, ნელა მოძრაობდა. მე, ახალგაზრდა სტუდენტმა დაუფიქრებლად შევუტიე: ჩქარა მომაწოდე-მეთქი. მამა შეჩერდა, ერთი შემომხედა და ესლა მიპასუხა: დაუფიქრდი, რ[illegible] ბობო. მართალი ბრძანდებოდა მოხუცი. უეცრად უხერხულობა ვიგრძენი, გავწითლდი. სინდისის ქენჯნა დიდხანს გამომყვა.

ერთხელ, კვლავ ჩემი სტუდენტობისას, მამაჩემი და მე დილაუთენია ვენახში უნდა წავსულიყავით, ის ცხენით, მე კი ფეხით (ცხენი ერთი გვყავდა). მამაჩემს უნაგირის უზანგი დავუჭირე და ვთხოვე შემჯდარიყო. მოხუცი ცხადია უცებ ვერ შეჯდა. აქაც კვლავ დაუფიქრებლად მოვიქეცი, ხმამაღლა ვუთხარი: „რა მოგივიდა?" მამამ მხოლოდ ამოიოხრა და ჩაილაპარაკა: დავბერდი და რა ვქნაო.

შვილები ვალდებულნი ვართ ისე ვიმოქმედოთ, მშობლებს მოხუცებულობა არ ვაგრძნობინოთ. ოჯახში ურთიერთ მზრუნველი თვალი ბედნიერებაა.

მადლობის გრძნობა უნდა ცოცხლობდეს და ღვივოდეს მეუღლეთა შორის: ქმარს არ უნდა ავიწყდებოდეს ცოლის — ოჯახის ბურჯის ამაგი, ცოლსაც თავის მხრივ მართებს ქმრისადმი პატივისცემა; ქმრის ავტორიტეტი, მზრუნველი გული ოჯახს მტკიცედ ადუღაბებს, მომავლის იმედებით აღავსებს.

მადლობის გრძნობა განსაკუთრებით სავალდებულოა მოწაფისათვის. უნდა გვახსოვდეს ჭკვიანური ნათქვამი: კარგი მოწაფეები კი არა, კარგი მასწავლებლები არსებობენო.

მასწავლებელი ვალდებულია მოწაფისადმი მშობლიური გრძნობით იყოს გამსჭვალული, მაგრამ თავის მხრივ, მოწაფეც ხომ ვალდებულია ახსოვდეს მასწავლებლის ღვაწლი, ეპყრობოდეს მას პატივისცემით, ამაგი წყალში არ გადაუყაროს. კარგად უნდა გვახსოვდეს: უმადურობა ამდაბლებს, არარად ხდის ადამიანს!

ერთი ძველი ლეგენდა მაგონდება: კეთილმა კაცმა თურმე ათი კაცი გააბედნიერა, მადლობის სათქმელად კი ერთი დაბრუნდა; კეთილი კაცი შეკითხვნია იმ ერთს — სხვა ცხრა რაღა იქნენო?!

უმადურება, ილიას სიტყვები რომ ვიხმაროთ, უეჭველად დიდი გასაჭირია. ადამიანს, რომელიც ივიწყებს მასწავლებლის ამაგს, არ შეიძლება ჰქონდეს ნათელი გზა.

საჭიროა კიდევ შევჩერდეთ ისეთი მადლობის გრძნობაზე, რომელიც მასწავლებლისათვის ყველა უმადურობაზე მწარე შეიძლება იყოს, მხედველობაში მაქვს მოწაფის მხრივ მლიქვნელობა, როდესაც მასწავლებელს დაუმსახურებლად ადარებს მეცნიერების კლასიკურ კორიფეებს. ზომიერების დაკარგვა მასწავლებლის ქებისას ყველაზე დიდი უმადურობაა.

მადლობის გრძნობა საზოგადოების ზნეობრივი ხერხემლის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ ყველგან და ყოველთვის — ოჯახში, ოჯახის გარეთ, ქუჩაში, სამსახურში, სასწავლებელში და ასე შემდეგ, ყოველ ადგილას, გაგვეგონა ტკბილი, დამამშვიდებელი სიტყვები: „ბოდიშს ვიხდი", „თუ შეიძლება", „გმადლობთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეფე-დედოფლის ასაკი

როცა შეუღლებაზე ვიწყებთ ლაპარაკს, ალბათ, საჭიროა იგი საქმროსა და საცოლის ასაკით დავიწყოთ. ასაკი ხომ ქორწინების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია.

წინასწარ გეტყვით, საუბარი მხოლოდ საპასპორტო ასაკზე როდი გვექნება. მომავალი ოჯახის შექმნისათვის მხოლოდ ფიზიკური მომწიფება არაა საკმარისი, რომელიც, სხვათაშორის, ყოველთვის როდია წელთა რიცხვის ადექვატური. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ და ემოციურ მომწიფებასაც.

თანამედროვე ახალგაზრდობას, ამ მხრივ, ვერა აქვს საქმე მაინცდამაინც კარგად: სქესობრივი მომწიფება ახლა 2-3 წლით ადრე იწყება, ვიდრე გასულ საუკუნეებში. ხოლო, რაც შეეხება სოციალურ სიმწიფესა და პიროვნების დამოუკიდებლობას, იგი, მეტ შემთხვევაში, უფრო გვიანდება, ვიდრე 40-50 წლის წინათ. დღეს ხომ მეტი დრო სჭირდება განათლებისა და პროფესიის მიღებას.

სიყმაწვილის პერიოდი თითქოს გახანგრძლივდა, ჭაბუკებს, რომლებიც საცაა ოცისანი უნდა გახდნენ, მატერიალური დამოუკიდებლობის გარდა ცხოვრების გამოცდილებაც დიდად აკლიათ, აკლიათ გრძნობათა სიმწიფე, ადამიანის გამოცნობა-შეცნობის უნარი, ეს კი ცუდი ნიშნებია ქორწინებისათვის.

ძირითადად, 18-20 წლის ასაკში შეუღლებული ახალგაზრდები იყრებიან და ამის მიზეზი მხოლოდ ცხოვრების „პროზასთან" შეხლა როდია; ახალგაზრდებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ცხოვრებისეულ მატერიალურ თუ საყოფაცხოვრებო სირთულეზე და სჯერათ, რომ ამის კომპესაცია გრძნობათა მცხუნვარებით შეიძლება. მაგრამ, სწორედ ინტიმური ურთიერთობა ვერ მყარდება ხოლმე ისე, როგორც ამას ისინი მოელოდნენ; თურმე მისი გამოცალკევება შეუძლებელია ცხოვრების საერთო ფონიდან, ახალგაზრდა წყვილს შორის დამყარებული ურთიერთობის მრავალფეროვნებიდან.

ქალისა და მამაკაცის „სექსუალურ პოტენციათა სხვაობა, რომელიც ფიზიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული (ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი), უფრო მკვეთრად სწორედ ამ ასაკშია გამოხატული; თანაც იმედის გაცრუება იმის გამო, რომ ქმარი უფრო მტკიცე ნებისყოფისა და საზოგადოებისათვის ავტორიტეტული პიროვნება ეგონა, ნებითა თუ უნებლიედ აქვეითებს ქალის საპასუხო რეაქციას ქმრის ალერსზე, ამცირებს მისადმი ლტოლვას. ყოველივე ეს კი ნიადაგს ამზადებს დისჰარმონიისათვის. ინტიმური ურთიერთობისათვის მეტისმეტი მნიშვნელობის მინიჭებას კი რაც ასე დამახასიათებელია ახალგაზრდობისათვის, მივყავართ იქამდის, რომ ამ სფეროში განცდილ პირველ მარცხს, ისინი ოჯახური ცხოვრების საერთო კრახად მიიჩნევენ. ახალბედა მეუღლეებს ჯერ კიდევ არ ჰყოფნით მოთმინება, არ გაეგებათ ის, რომ სქესობრივი ჰარმონია, ხშირად მაშინვე არ მყარდება, რომ მას შექმნა სჭირდება, და, ამიტომაა რომ ცრუ კრახს ისინი რეალობად მიიჩნევენ ხოლმე.

დაგვიანებულ ქორწინებასაც ახლავს თავისი სერიოზული ნაკლოვანებები. ამ შემთხვევაში ინტიმური ურთიერთობა ხშირად კარგავს თავის ღირებულებას ერთი ან ორივე მხარისათვის. ეს კი ცოლ-ქმრობას ართმევს ელვარებასა და გრძნობათა სისავსეს. რაც მთავარია, ოცდაათ წელს გადაცილებული ქალისათვის ორსულობა და მშობიარობა გაცილებით მძიმეა, ვიდრე 20-25 წლის ახალგაზრდისათვის.

ნამდვილი ოჯახი მხოლოდ ბავშვის გაჩენის შემდეგ ყალიბდება: შვილის აღზრდა, საერთო მზრუნველობა, საერთო სიხარული მეუღლეთა ურთიერთისადმი ნაზი გრძნობების გამჟღავნება. ბევრ ქალს სწორედ მშობიარობის შემდეგ უქრება ფრიგიდულობა (სქესობრივი სიცივე).

შეუღლებისათვის ყველაზე კარგ ასაკად უნდა ჩაითვალოს ბავშვის გაჩენისათვის ხელსაყრელი ასაკი, ქალისათვის 20-21-დან 25-26 წლამდე, მამაკაცისათვის კი — 23-24-დან 28-30 წლამდე. ეს ციფრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ საორიენტაციოა და არ გამორიცხავს ბედნიერ ცოლ-ქმრობას უფრო ადრე ან გვიან ასაკშიც.

მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ ქმარი ცოლზე რამდენიმე წლით უფროსი უნდა იყოს (სამიდან ათ წლამდე). ამაში მართლაც არის სიმართლე, და ეს იმიტომ, რომ გარდა იმისა, რომ ასეთი ქმარი ოჯახის დასაყრდენია, მას უკვე განსაზღვრული სულიერი ბაგაჟიც გააჩნია. ამ ვარიანტის დროს სქესობრივი ჰარმონიაც უფრო იოლად და მალე მყარდება.

ასაკობრივი განსხვავება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ურღვევ წესად გამოვაცხადოთ. ინტიმური ცხოვრება საერთოდ ვერ ეტევა წესების ჩარჩოებში, იგი რთული რამაა და ორი ინდივიდის ურთიერთობითაა გაპირობებული. ჩვენ ვიცით ისეთი ბედნიერი ქორწინებანიც, როცა მეუღლეები თანატოლები არიან, ანდა ცოლია ქმარზე რამდენიმე წლით უფროსი.

**გ. ს. ვასილჩენკო,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**
**ი. ა. რეშეტნიაკი**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**
ჟურნალი „ზდოროვიე".

# სილამაზის ფორმულა

ხშირად ვღებულობ წერილებს. მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობ, გავცე პასუხი. მხვდება ასეთი წერილებიც: „...ბევრს წერენ ფიზიკური ვარჯიშების ყოვლისშემძლეობაზე. მეც მინდა ვიწამო. ვარ 25 წლის. ფეხები გამრუდებული მაქვს. მასწავლეთ, როგორ გამოვასწორო ეს ნაკლი. მხოლოდ ნუ დამიწყებთ იმის სწავლებას, რომ ადამიანისათვის მთავარი სულიერი სილამაზეა და არა ფიზიკური..."

მოდი და გაეცი პასუხი ასეთ წერილს...

მართლაც და, რა არის ადამიანის სილამაზე?

არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ ლამაზი ტანი, ელეგანტური მიხრა-მოხრა, გრაციულობა, ქალური სინატიფე და მოძრაობის დახვეწილობა ჩემში ყოველთვის რაღაც ძალზე ამაღელვებელ, ესთეტიკურ გრძნობებს იწვევს.

და მართლაც, განა შეიძლება სხვა იყოს რამ ადამიანის ტანზე სრულყოფილი?! ეს არის ყველა დროის ადამიანის იდეალი, რომელიც არ ემორჩილება ჟამთა ცვალებადობას. განა ყველა დროის უდიდესმა კორიფეებმა პოეზიასა თუ პროზაში, ტილოზე თუ მარმარილოში არ უკვდავჰყვეს თავისი ყველაზე დიდი ქმნილებანი?!

უყურებ ვენერა მილოსელს, მონა ლიზას, აფროდიტას და თითოეული მათგანის ყოველ ნაკვთში, სხეულის ყოველ ნაწილში უდიდეს ფიზიკურ სილამაზესთან ერთად რაღაც ძალზე ამაღლებულ სულიერ სიწმინდეს ხედავ.

არა მგონია არსებობდეს ადამიანი, რომელიც გულგრილი იყოს სილამაზისადმი და რომელსაც არ სურდეს იყოს ლამაზი და მოხდენილი, მარგამ ბუნება ყოველთვის როდია სამართლიანი. ერთს ყოველმხრივ ამკობს, მეორეს რაღაცას დააკლებს, მესამეს კი საერთოდ გვერდს აუვლის. რას იზამ, ასეთია ბუნების დაუწერელი კანონი და მას ვერსად გაექცევი. ადამიანები ბოლოს და ბოლოს ურიგდებიან საკუთარ ნაკლს და ძირითადად მის დაფარვას კოსმეტიკისა და ქსოვილების ხარჯზე ცდილობენ. ეს, რა თქმა უნდა, სწორია და ასეც უნდა იყოს. თუ თვალს გადავავლებთ საუკუნეების განმავლობაში მოდების განვითარების ისტორიას, ბევრ საყურადღებო ფაქტს ვნახავთ: ასე მაგალითად, პარიკი იმან შემოიღო, ვისაც თმა არ ჰქონდა, გრძელ კაბას დასაბამი მისცა მან, ვისაც ფეხები არ ჰქონდა ლამაზი, ხოლო მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი შემოიღო იმან, ვისაც სიმაღლე აკლდა და ა. შ.

გარეგნობის შელამაზება, ტანის დეფექტის დაფარვა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ, განა, ყველაფერი კოსმეტიკაზეა დამოკიდებული? არა და არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონს, ტანმოვარჯიშე პოლინა ასტახოვას რუსულ „გრაციასა“ და „ბერიოზკას“ ეძახდნენ. მაგრამ ბევრმა როდი იცოდა, რომ მას საკმაოდ მრუდე ფეხები ჰქონდა (დაე, მაპატიოს პოლინამ), მაგრამ ის ისე დადიოდა, ისე იჯდა, იდგა (მას კი ძალზე ხშირად უხდებოდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგომა), რომ ვინც არ იცოდა, ვერასოდეს შეამჩნევდა მის ფიზიკურ ნაკლს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონს, წყალში მხტომელ ინგრიდ კრემერს მრავალჯერ აუღია სილამაზის პრიზი. მისი ყოველი გამოჩენა წყალში სახტომ კოშკზე ყოველთვის კინო და ფოტორეპორტიორების ყურადღების ცენტრში იყო. ის, მართლაც, ზღაპრულად ლამაზი გახლდათ, მაგრამ სილამაზის გარდა ჰქონდა რაღაც ძალიან ქალური, უაღრესად ჰაეროვანი და დახვეწილი მოძრაობები. კეკლუცობდა მსაჯებთან და მაყურებელთან, მაგრამ ვერავითარ ზედმეტობას ვერ დასწამებდით, იმდენად ბუნებრივი და მიმზიდველი იყო ყოველი მისი მოძრაობა.

ინგრიდ კრემერს ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე ჰყავდა „დაპყრობილი“ მსაჯები და მაყურებელი. რაც შეეხება ასპარეზობას, აქ ის, მართლაც სწორუპოვარი იყო!

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ კიდევ ერთხელ გაგვემახვილებინა თქვენი ყურადღება თავისა და ტანის სწორად დაჭერის აუცილებლობაზე.

რამდენი ქალი გვინახავს, რომელიც ბუნებას დაუჯილდოვებია სილამაზით, მაგრამ ეს სილამაზე, რაღაც ცალხმრივი და ერთფეროვანია. სულ სხვაა ადამიანი სტატიკურ პოზაში და სულ სხვა მოძრაობასა და დინამიკაში.

დაიხრება ქალი რაღაცის ასაღებად, დაიხრება რაღაც მეტად მოხდენილად, თავისებურად, ძალიან ქალურად.

გაივლის ქალი ნახევრად დაჩრდილული ვიტრინის წინ, სადღაც თავის სილუეტს მოკრავს თვალს, ძალიან ნაზი, ჰაეროვანი მოძრაობით კისერს მოიღერებს, თავს ამაყად მაღლა ასწევს და თითების ოდნავი შეხებით ჩამოვარდნილ კულულს გაისწორებს (ან განგებ ჩამოაგდებს).

სრულიად უმნიშვნელო ჟესტი და რამდენი გრაციულობა და ქალური სინატიფე იგრძნობა მასში.

„ადამიანის მოძრაობაში თვით ადამიანია“ — უთქვამს ვილაცას. გამოდით ქუჩაში და კარგად დაუკვირდით გამვლელს. მოდის ქალი, მაგრამ მის სიარულში რაღაც ტლანქი სიმძიმე და მოდუნება იგრძნობა. შეხედავ მეორეს, თითოეულ მის ნაკვთში სიმტკიცეს, საკუთარი თავისადმი რწმენას და ქალურ სიამაყეს ხედავ. შეხედავ მესამეს და უცბად იგრძნობ, რომ მას რაღაც დიდი ფიქრები დაწოლია მძიმედ მხრებზე და მთელი მისი ფიგურა მოუხრია. მართლაც შინაგან განცდებზე, დადებით და უარყოფით ემოციებზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი გარეგნობა, მიხრა-მოხრა, თავის დაჭერა.

ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ დამოკიდებულებას პიროვნებისადმი. შეიძლება ადამიანს სერიოზული ფიზიკური ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ თუ მოგწონს, მისი ნაკლოვანი მხარეებიც თითქოს სადღაც ქრება. ანდა პირიქით, ულამაზესი ადამიანი ყოვლად უშნოდ გვეჩვენება. თუმცა, ყოველივე ეს, ასე ვთქვათ, მსჯელობის ფილოსოფიურ მხარეს მიეკუთვნება და ამიტომ ჩვენს ძირითად თემას დავუბრუნდეთ.

როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ, თუ ბუნებამ გარეგანი ფორმების განსაკუთრებული სილამაზით არ გაგვანებივრა? არსებობს თუ არა რაიმე საშუალება მდგომარეობის გამოსასწორებლად? დიახ, არსებობს და საკმაოდ ბევრიც...

მხოლოდ წინასწარ გვინდა გაგაფრთხილოთ, ზრდადამთავრებულ ასაკში ილუზიებს ნუ შევიქმნით, უნდა შევურიგდეთ არსებულს, ოღონდ ეს კია, უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და შესარბილებლად.

განა, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ დავფაროთ საკუთარი ნაკლი, ან რაც გვაქვს, ის უკეთეს ფორმებში წარმოვიდგინოთ? როგორ ვდგავართ, ვზივართ, დავდივართ, ჩვენი სიარულის მანერა, მიხრა-მოხრა, განა, ყოველივე ეს ბუნების ბრალია?! როდესაც მოშვებულ-მოდუნებული ვდგავართ, ვზივართ, დავდივართ გრძელი და უხეში ნაბიჯებით, განა, ყოველივე ეს ჩვენი დაუდევრობისა და უყურადღებობის ბრალი არ არის?

ამაში სულ ადვილად დარწმუნდებით, თუ დიდი ზომის სარკის წინ გაჩერდებით. ამჯერად კრიტიკული თვალით შეხედეთ ყველაფერს. დადექით პირდაპირ, ჩვეულებრივად, დაუკვირდით ფეხებს, იმას თუ როგორ დგახართ; არ მოგწონთ?.. მაშინ ერთი ფეხი ოდნავ წინ წადგით. მეორე ფეხის ცერი ცოტა განზე გასწიეთ. კარგად დაუკვირდით, ამჩნევთ რამეს? — აუცილებლად შეამჩნევთ, რომ თითქოს გაქრა ფეხების დეფექტი (სიმრუდე, სისქე, სიგამხდრე), ოდნავ გეუხერხულებათ ხომ ასეთ პოზაში დგომა? — არა უშავს, ეს უკვე ჩვევის ამბავია!

ახლა დაჯექით სკამზე, თავისუფლად, ისე, როგორც ყოველთვის, არ მოგწონთ? — მაშინ მუხლები შეაერთეთ, ფეხები ოდნავ მარცხნივ ან მარჯვნივ დახარეთ, ტანი ოდნავ შემოატრიალეთ. მოგწონთ? არ შეიძლება არ მოგეწონოთ. ტანმა ელეგანტური ფორმა მიიღო. გეუხერხულებათ? — არა უშავს, ეს მიჩვევის საქმეა... თუმცა ამაზე უკვე ვთქვით.

ახლა თავს მივხედოთ. კარგად დაუკვირდით, როგორ გიჭირავთ თავი. დაუკვირდით სახის ნაკვთებს, ხომ არა გაქვთ ქვედა ყბა მოდუნებული, თავი კი კის „ჩამძვრალი“? მზერა კისერზე გადაიტანეთ, ბევრი ნაოჭები ჩანს? ახლა რამდენიმეჯერ შეიცვალეთ პოზა, შეარჩიეთ, რომელიც ყველაზე უფრო მოგიხდათ, ოღონდ ვინმეს მიბაძვას ნუ ეცდებით. სხვისი მანერებისა და მიმიკის გადაღება იგივეა. რაც სხვის ტანზე შეკერილი კაბა. მაშ ასე. შეარჩიეთ თავის დაჭერის მხოლოდ თქვენთვის შესაფერი პოზა, კარგად დაუკვირდით ანფასსა და პროფილს.

ახლა მზერა მუცელზე და გულმკერდზე გადაიტანეთ. დადექით თავისუფლად. მოგწონთ? რა თქმა უნდა, არა...

ახლა მუცელი აწურეთ (შესწიეთ), ისე რომ დიაფრაგმა მაღლა აიწიოს. გაიმეორეთ რამდენჯერმე, თან გულმკერდსა და მხრებს დაუკვირდით. ხედავთ, მუცლის აწურვასთან ერთად როგორ ფართოვდება და მაღლა იწევს გულმკერდი, მხრები სწორდება და მრგვალდება, თითქოს ამაღლდით კიდეც. ახლა გაიარ-გამოიარეთ, ადექით, დაჯექით, დაიხარეთ და სხვ. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარ თავს სულ სხვა თვალით შეხედავთ, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეულ პოზებში მოხდენილად გამოიყურებით, თუმცა თავს ცოტა უხერხულად გრძნობთ, მაგრამ ხომ ვთქვით, ყოველივე ეს ჩვევის ამბავიაო.

ახლა ყველაზე მთავარი თქვენს მიერ შერჩეული პოზის, დგომის, ჯდომის, სიარულის მანერის, მიხრა-მოხრის განმტკიცება და ჩვევის გამომუშავებაა. თავისა და ტანის სწორად დაჭერას უნდა მიეჩვიოთ ყოველთვის და ყოველგვარი საქმიანობისას. არავითარი დათმობა!! გვერწმუნეთ, რომ ყოველივე ეს, სულ მოკლე ხანში ჩვევაში გადავა. ყველა ქალი თავისებურად ლამაზია. არა მგონია იყოს ქალი, რომელსაც რაღაც თავისებური, მხოლოდ მისეული დამახასიათებელი მიმზიდველობა არ ჰქონდეს.

როგორ მოვიქცეთ, მივყვეთ თვითდინებას, ვიწუწუნოთ ასაკზე, მოუცლელობაზე, შევურიგდეთ ბედს, ნაადრევად მოვდუნდეთ, მოვეშვათ, თუ მოვძებნოთ საკუთარ თავში დამალული და ჯერ კიდევ ამოუცნობი რეზერვები, ვეცადოთ დიდხანს შევინარჩუნოთ მიმზიდველობა და სილამაზე? — ცხადია, უნდა მოვიქცეთ მეორე ნაირად.

ისე რომ, ძვირფასო ქალებო, სილამაზე, ქალური სინაზე და ელეგანტობა თქვენსავე ხელთაა. მხოლოდ, ძალიან გთხოვთ, ნუ მოიმიზეზებთ საოჯახო, სამსახურებრივი, საზოგადოებრივი საქმიანობით გადატვირთვას.

დაუმეგობრდით ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. საკუთარ თავს ცოტა მეტი ყურადღება დაუთმეთ. ზომიერი დიეტა წონაში დაგაკლებინებთ, ხოლო ფიზიკური ვარჯიში მომატების საშუალებას არ მოგცემთ.

იყავით მარად მიმზიდველნი და ლამაზნი. ეს აუცილებელია თქვენთვის, ძვირფასო ქალებო, და ჩვენთვისაც...

დოცენტი გივი ყირმელაშვილი

## საახალწლო რჩევები

# მხოლოდ ახალბედა — გამოუცდელ დიასახლისებს

ახალ წელს ამ ლამაზ, ტრადიციებით აღსავსე დღესასწაულს ადამიანი განსაკუთრებული განწყობილებებით ხვდება. „ძველ წელს“ უტოვებს დარდს, უიღბლობას, იმედის გაცრუებას, ახალ წელს კი ელოლიავება, ცდილობს თავი მოაწონოს, კეთილი, ალალი გულით დახვდეს, რომ მისგანაც ასევე „დაიმსახუროს“.

ახლა დეკემბერია, დიასახლისებს, რომ იტყვიან, თავის მოსაფხანად არა სცალიათ: ყიდულობენ საახალწლო სურსათს, ალაგებენ, აწკრიალებენ, ახალ ტანსაცმელს იკერავენ და უკერავენ...

ხშირად გაიგონებთ ახალბედა დიასახლისისაგან, რა ვქნა, ღმერთმანი, აღარ ვიცი, საქმეს ვეღარ მოვერიე, უფრო სწორედ საქმე თავად მომერიაო. ჰოდა, ეს რომ ასე არ მოხდეს, ჩვენი საოჯახო კლუბის წევრებს ზოგიერთ, მხოლოდ მცირე დარიგებას მივცემთ. აკი ამიტომაც არიან ჩვენი წევრები.

მაშ ასე: ახლა დეკემბრის შუა რიცხვებია, „გენერალურ დალაგებას“, რა თქმა უნდა, უკვე მორჩით: ვერ მოასწარით? — არა უშავს, ახლა დაიწყეთ:

1) უპირველეს ყოვლისა შეამოწმეთ მილსადენები, ონკანები, საშხაპე და სააბაზანო მოწყობილობა, გაზქურა, ფანჯრებისა და კარების რაზები და საკეტები, არც გარდერობი და სხვა კარადები დაივიწყოთ, თუ რამე უწესრიგობას შენიშნავთ, სასწრაფოდ გამოუძახეთ მოხელეს და გაასწორებინეთ, თორემ, ამ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბავმა, შესაძლოა შუა საქმიანობაში შეგაფერხოთ.

2) მოაწესრიგეთ დალაგებისათვის აუცილებელი ინვენტარი; გაწმინდეთ მტვერსასრუტი, გარეცხეთ იატაკის საპრიალებელი ჯაგრისები და კარგად გააშრეთ, მოიმზადეთ სუფთა ფალასები (ამისათვის დაძველებული ტანსაცმელი შეგიძლიათ გამოიყენოთ), შეიძინეთ ავეჯის, ჭურჭლის, მინის საწმენდი სითხეები; არ დაგავიწყდეთ მასტიკის მომარაგება, თორემ, ზოგიერთი დიასახლისი ჯერ იატაკს მორეცხავს და მერე ორი-სამი დღე მასტიკას დაეძებს, ამასობაში იატაკი თავიდან ისვრება...

3) ვიწყებთ დალაგებას! ყველაზე უწინ სარეცხს მიხედეთ: მოიშველიეთ მეუღლე, ძმები, არა უშავს დაატრიალონ სარეცხის მანქანა — ხელი არ მოტყდებათ. თუ თეთრეული სამრეცხაოში დაგაქვთ, ესეც მათ დაავალეთ. შემდეგ სუფთა თეთრეული საიმედო ალაგას მოათავსეთ, რომ დალაგების დროს არ დაგემტვეროთ.

გაიტანეთ აივანზე ან ეზოში (ფანჯარაზე გადაფინეთ) ქვეშაგები, ტანსაცმელი, ფარდები (ფარდები უკვე გარეცხილი და დაუთოვებული გაქვთ, ეცადეთ არ დაჭმუჭნოთ), და ვიდრე ისინი მზეში და ჰაერზე ნიავდება, დაიწყეთ სახლის დალაგება.

გრძელტარიანი სუფთა ჯაგრისით (აკი უკვე გარეცხეთ) ჩამოწმინდეთ ჭერი და კედლები; კედლებისა და კარადების გამოსაწმენდად მოიშველიეთ მტვერსასრუტი, თუ ფალასსაც გამოუსვამთ, არ აწყენს. შემდეგ გაწმინდეთ ჭაღები და ბრები (კარგია არყისა და ძმრის თანაბარი ნარევი, ზოგი სოდიან (საჭმლის) და მარილიან წყალსაც ხმარობს, თუ არა და, მგონი უკვე ნაყიდიცა გაქვთ საჭირო მზა სითხე.

შემდეგ გარეცხეთ და გაწმინდეთ კარნიზები, კარ-ფანჯრის ჩარჩოები, არ დაივიწყოთ „ბატარეიებიც“. შემდეგ, ძალიან სუფთა ჩვრებით (ამას დიდი მნიშვნელობა აქვს) დაიწყეთ ფანჯრების წმენდა. დაფერთხეთ ყოველივე, რაც გასამზეურებლად გქონდათ გაფენილი, (მტვერსასრუტის მოშველიება არ დაგავიწყდეთ) და სახლში შემოიტანეთ.

მეორე დღეს შეუდექით იატაკის მორეცხვა-გაწმენდას. დღეს რომ იატაკს მორეცხავთ, მასტიკა ხვალ (აუცილებლად) წაუსვით და გააპრიალეთ. იატაკი უნდა გააპრიალოთ ზედიზედ მეორე, მესამე და მეოთხე დღესაც: ეს იატაკის კარგად „გამოყვანის“ გარანტიაა.

ახლა მიხედეთ სამზარეულოს, სააბაზანოს და სხვა სათავსოს, ოღონდ ეცადეთ ამ საქმეს ოპერატიულად და სასწრაფოდ მორჩეთ.

ბინა უკვე დაალაგეთ და ერთი თავისუფლად ამოისუნთქეთ, მაგრამ წინ კიდევ საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმე გელოდებათ.

შეუდექით საახალწლო სანოვაგის მომზადებას, შორს ნუ გადადებთ, თორემ, დამეთანხმებით, რა საშინელებაა 30-31 დეკემბერს რომ დარბის დიასახლისი ბაზარ-ბაზარ ან მაღაზია-მაღაზია და თან გული უსკდება ვაი, თუ ვერ მოვასწროო.

ერთი კვირით, 10 დღით ადრე შეგიძლიათ მოიმარაგოთ ხახვი, კარტოფილი, ნიგოზი, კარაქი, შაქარი, ქიშმიში და ა. შ. 3-4 დღით ადრე ხორცეული (მაშ მაცივრები რიღასთვისა გვაქვს)!

გოზინაყის გაკეთება შეიძლება 3-4 დღით ადრე, ოღონდ საიმედოდ შეინახეთ! ნუ გეშინიათ, ამას სიძუნწეში არავინ ჩამოგართმევთ; გოზინაყს ახალ წელს უნდა დაადგათ კბილი, ამაშია მისი მომხიბვლელობა!! ორი დღით ადრე შეიძლება მომზადდეს უკრემო ნამცხვრები. რომ არ გამოშრეს, შეინახეთ მომინანქრებულ ქვაბებში და თავზე დაახურეთ.

საცივის გაკეთებაც შეგიძლიათ 1-2 დღით ადრე (საცივის გაკეთების წესი შეგიძლიათ მონახოთ ჩვენი ჟურნალის გასული წლის დეკემბრის თვის ნომერში).

ეცადეთ 31 დეკემბერი მხოლოდ საკუთარი თავისთვის დაიტოვოთ, მოწესრიგდეთ: მიიღეთ შხაპი, ლამაზად დაივარცხნეთ თმა, გამოეწყვეთ კოხტად და ახალ წელს ქმარ-შვილთან ერთად (და არა სამზარეულოში) შეხვდით.

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო ქალებო, წინასწარ გილოცავთ ფეხბედნიერ 1976 წელს.

ნ. სიმონიძე

გარეკანზე — ნორჩი მხატვრის ნ. ჯაფარიძის ნამუშევარი. სლაიდი დ. იაკობაშვილის და გრ. სეირანიანისა


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 22/X-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI-75 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 120670 შეკვ. 3876 უე 02089 ფასი 30 კაპ.



ფოტო დ. მძინარიშვილისა

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია, სარედაქციო კოლეგიისა და მრავალათასიან მკითხველთა კოლექტივის სახელით გულითადად ულოცავს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს — ვასილ (ვასო) დავითის ძე გოძიაშვილს უმაღლეს ჯილდოს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს. ეს ჯილდო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩვენს სახელოვან მსახიობს მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მიანიჭა. ვუსურვებთ ძვირფას ხელოვანს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს სამშობლოს კულტურის საკეთილდღეოდ.



ИНДЕКС 76178